

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი

INSTITUTE FOR DEVELOPMENT OF
FREEDOM OF INFORMATION



საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა საქართველოში საინფორმაციო ბიულეტენი № 5 2012-2013

კვლევა განხორციელდა პროექტ საჯარო ინფორმაციის მონაცემთა ბაზა - www.opendata.ge - ფარგლებში.



OPEN SOCIETY GEORGIA FOUNDATION
ფონდი ღია საზოგადოება საქართველო

ფინანსური მხარდაჭერა - ფონდი „ღია საზოგადოება-საქართველო“

ბიულეტენში გამოთქმული მოსაზრებები არ გამოხატავს ფონდ „ღია საზოგადოება-საქართველოს“ პოზიციას. შესაბამისად, აღნიშნული ორგანიზაცია არ არის პასუხისმგებელი ბიულეტენის შინაარსზე.

აკრძალულია ბიულეტენში მოყვანილი მასალების გადაბეჭდვა, გამრავლება ან გავრცელება კომერციული მიზნით, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის წერილობითი ნებართვის გარეშე.

ავტორები:

კონსტანტინე ჯანჯღაგა (პროექტის იურისტი)
გოგა თუმურაშვილი (პროექტის ანალიტიკოსი)

რედაქტორი:

ლევან ავალიშვილი (პროექტის დირექტორი)

საკონტაქტო ინფორმაცია:
ა.მაჭავარიანის (არაგვის) ქუჩა №4
საქართველო, თბილისი, 0179
ტელ: + 995322 996364
ელ-ფოსტა: info@idfi.ge
ვებ-მისამართი: www.idfi.ge

ს ა რ ჩ ე ვ ი

I პროექტი – „საჯარო ინფორმაციის მონაცემთა ბაზა - www.opendata.ge “.....	3
II ინფორმაციის თავისუფლება საქართველოში	4
III ა(ა)იპ – ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის მიერ პროექტის ფარგლებში წარმოებული საქმიანობა	5
1. საჯარო ინფორმაციის მოთხოვნა.....	5
2. მოთხოვნილი საჯარო ინფორმაცია.....	7
2.1 დახურული ინფორმაცია.....	8
2.2 საჯარო ინფორმაციის ცნების მცდარი განმარტება.....	17
2.3 საჯარო დაწესებულებებში გაგზავნილი შეკითხვები	25
3. მიღებული საჯარო ინფორმაციის სტატისტიკა.....	29
3.1 საჯარო ინფორმაციის გაცემის ვადები	31
3.2 საჯარო ინფორმაციის გაცემის ფორმა	33
3.3 საჯარო ინფორმაციის მოწოდების პრაქტიკა	34
3.4 საჯარო ინფორმაციის გაცემის პრაქტიკა არჩევნებამდე და არჩევნების შემდეგ.....	38
3.5 საჯარო დაწესებულებათა ინფორმაციის ღიაობის რეიტინგები	41
4. ადმინისტრაციულ ორგანოთა გასაჩივრებული გადაწყვეტილებები.....	50
VI დასკვნა.....	54

I პროექტი – „საჯარო ინფორმაციის მონაცემთა ბაზა - www.opendata.ge“

2012 წლის ივნისში ა(ა)იპ ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტმა - IDFI (შემდგომში – ინსტიტუტი / IDFI) განაახლა პროექტი „საჯარო ინფორმაციის მონაცემთა ბაზა - www.opendata.ge“, რომელიც წარმოადგენს შესაბამისი პროექტების სერიის გაგრძელებას: იდეის განხორციელება დაიწყო 2010 წელს საპილოტე პროექტის „საჯარო ინფორმაციის მონაცემთა ბაზის“ სახით, რომელიც გაგრძელდა 2011 წლის მარტსა და 2012 წლის ივლისში. პროექტის მიზანია საქართველოში ინფორმაციის თავისუფლებისა და საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის განვითარება. პროექტი მხარდაჭერილია და ფინანსდება ფონდ „ღია საზოგადოება საქართველოს“ მიერ.

პროექტის ფარგლებში მიმდინარეობს ადმინისტრაციული ორგანოებიდან საჯარო ინფორმაციის მოთხოვნა და შემდეგ მისი ელექტრონული სახით დამუშავება, პროექტის ვებ-გვერდზე - www.opendata.ge - ატვირთვა და საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის ანალიზი. აღნიშნული ვებ-რესურსის საშუალებით ნებისმიერ დაინტერესებულ პირს შესაძლებლობა აქვს გაეცნოს, ჩამოტვირთოს და დაამუშაოს ინსტიტუტის მიერ მოპოვებული მონაცემები.

ვებ-გვერდზე მოცემულია იმ საჯარო დაწესებულებების ჩამონათვალი, რომელთაც გაეგზავნათ ინსტიტუტის მოთხოვნა. შესაბამისად, ნებისმიერ მსურველს შეუძლია ჩამონათვალის გასწვრივ აირჩიოს თემა და იხილოს ამა თუ იმ დაწესებულების მიერ გამოგზავნილი პასუხი (მაგალითად, საჯარო დაწესებულების თანამშრომლებზე გაცემული ხელფასები, პრემიები და სხვ.).

IDFI-იმ პროექტის კვლევითი კომპონენტის განსავითარებლად შექმნა სპეციალური ბლოგი: opendatablog.wordpress.com, რომელზეც მოპოვებული მონაცემების საფუძველზე რეგულარულად ქვეყნდება ანალიტიკური ხასიათის ცნობები და სტატიები. ამასთან, პროექტის ფარგლებში მომზადდა ორი კვლევა - „ახალი პარლამენტის მშენებლობის ხარჯები და დაფინანსების სქემა“ და „რეგიონებში განხორციელებული სპეციალური ტრანსფერები წინასაარჩევნო პერიოდში“, რომელიც ხელმისაწვდომია ინსტიტუტის ვებ-გვერდის განყოფილებაში „კვლევები“: www.idfi.ge/?cat=researches&lang=ka. ინსტიტუტი ანხორციელებდა სამართლებრივი ხასიათის საქმიანობასაც - რიგ საჯარო დაწესებულებათა შესაბამისი სადავო პასუხი/უმოქმედობა გასაჩივრებულ იქნა ადმინისტრაციული წესით, მათ შორის ოთხ შემთხვევაში ინსტიტუტმა სარჩელით მიმართა სასამართლოს.

საჯარო ინფორმაციის მონაცემთა ბაზა მნიშვნელოვანია შემდეგი საკითხების განვითარებისთვის:

- 1) ინფორმაციის თავისუფლების, როგორც სამართლებრივი ინსტიტუტის განვითარება;
- 2) საქართველოში სამოქალაქო საზოგადოების შექმნის გზაზე კიდევ ერთი ნაბიჯი, რომლითაც ნებისმიერი ადამიანი შეძლებს სურვილისამებრ მოითხოვოს დაწესებულებაში არსებული საჯარო ინფორმაცია;
- 3) საჯარო ინფორმაციის მოთხოვნისა და გაცემის პრაქტიკის ანალიზი, ძირითადი ტენდენციებისა და პრობლემების დადგენა;

4) საჯარო დაწესებულებათა საზოგადოებრივი კონტროლი, შესაბამისი სამართლებრივი ნორმების დაცვის ვალდებულების დამკვიდრება.

II ინფორმაციის თავისუფლება საქართველოში

პროექტი ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კერძოდ, საქართველოს კონსტიტუციითა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე.

საქართველოს კონსტიტუციის 24-ე მუხლი პირის მიერ ინფორმაციის გამოყენების უფლებაზე საუბრობს. იგი განმარტავს, რომ ყოველ ადამიანს აქვს შესაძლებლობა მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია. მიუხედავად საქართველოს კონსტიტუციაში ნორმის ამგვარი სახით ინტერპრეტაციისა, ინფორმაციის მიღება-გავრცელების ფაქტი აბსოლუტურ და შეუზღუდავ უფლებად არ უნდა იქნეს გაგებული. იგი შეიძლება შეიზღუდოს, ანუ მას გააჩნია გარკვეული ბოჭვის ფარგლები. სწორედ ამ საკითხს ეხმიანება საქართველოს კონსტიტუციის 41-ე მუხლი, რომელიც ინფორმაციის თავისუფლების მოქმედების არეალს კიდევ უფრო ავიწროებს და კონკრეტული ჩარჩოს სახით, მისი გაცემის ვალდებულებას საჯარო დაწესებულებას ანიჭებს. თავდაპირველად ერთმანეთისგან უნდა გაიმიჯნოს საქართველოს კონსტიტუციის 24-ე¹ და 41-ე² მუხლები. თუ 24-ე მუხლის მე-4 პუნქტში ინფორმაციის გავრცელების შეზღუდვაზე ზოგადადაა საუბარი (საუბარია, ამ უფლების შეზღუდვაზე სხვათა უფლებების დასაცავად), 41-ე მუხლის მე-2 პუნქტი აღნიშნული უფლების შეზღუდვას კიდევ უფრო აკონკრეტებს და აღნიშნავს, რომ სხვისი უფლების დაცვა, კონკრეტული ინფორმაციის საიდუმლოდ ცნობა, ხოლო თავის მხრივ, საიდუმლოება იყოფა სამ სახედ: სახელმწიფო, პროფესიულ ან კომერციულ საიდუმლოებად. კონფიდენციალურობის საკანონმდებლო რეჟიმი აგრეთვე დაწესებულია პირის პერსონალურ მონაცემებთან მიმართებაშიც.

საქართველოს კონსტიტუციის ზემოთ ჩამოთვლილი ნორმები დაკონკრეტებულია საქართველოს ზოგად ადმინისტრაციულ კოდექსში (შემდგომში - სზაკ). სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ,

¹ საქართველოს კონსტიტუციის 24-ე მუხლი

1. ყოველ ადამიანს აქვს უფლება თავისუფლად მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია, გამოთქვას და გაავრცელოს თავისი აზრი ზეპირად, წერილობით ან სხვაგვარი საშუალებით.
2. მასობრივი ინფორმაციის საშუალებები თავისუფალია. ცენზურა დაუშვებელია.
3. სახელმწიფოს ან ცალკეულ პირებს არა აქვთ მასობრივი ინფორმაციის ან მისი გავრცელების საშუალებათა მონოპოლიზაციის უფლება.
4. ამ მუხლის პირველ და მეორე პუნქტებში ჩამოთვლილ უფლებათა განხორციელება შესაძლებელია კანონით შეიზღუდოს ისეთი პირობებით, რომლებიც აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში სახელმწიფო უშიშროების, ტერიტორიალური მთლიანობის ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, დანაშაულის თავიდან ასაცილებლად, სხვათა უფლებებისა და ღირსების დასაცავად, კონფიდენციალურად აღიარებული ინფორმაციის გამჟღავნების თავიდან ასაცილებლად ან სასამართლოს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის უზრუნველსაყოფად.

² საქართველოს კონსტიტუციის 41-ე მუხლი

1. საქართველოს ყოველ მოქალაქეს უფლება აქვს კანონით დადგენილი წესით გაეცნოს სახელმწიფო დაწესებულებებში მასზე არსებულ ინფორმაციას, აგრეთვე იქ არსებულ ოფიციალურ დოკუმენტებს, თუ ისინი არ შეიცავენ სახელმწიფო, პროფესიულ ან კომერციულ საიდუმლოებას.
2. ოფიციალურ ჩანაწერებში არსებული ინფორმაცია, რომელიც დაკავშირებულია ადამიანის ჯანმრთელობასთან, მის ფინანსებთან ან სხვა კერძო საკითხებთან, არავისთვის არ უნდა იყოს ხელმისაწვდომი თვით ამ ადამიანის თანხმობის გარეშე, გარდა კანონით დადგენილი შემთხვევებისა, როდესაც ეს აუცილებელია სახელმწიფო უშიშროების ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, ჯანმრთელობის, სხვათა უფლებებისა და თავისუფლების დასაცავად.

კონსტიტუციით გაწერილ, ზოგადი ხასიათის ქვევის წესებს სზაკ-ი დეტალურად განსაზღვრავს. აღნიშნული კოდექსის მესამე თავში გაწერილია ის სამართლებრივი შესაძლებლობები, რაც საჯარო ინფორმაციის მომთხოვნს, საჯარო დაწესებულებიდან ამგვარი ინფორმაციის მიღებისთვის გააჩნია. აქვე განსაზღვრულია საჯარო დაწესებულებათა ვალდებულებანი, თუ რა სახის მოვალეობა ეკისრებათ მათ, როდესაც პირი დაწესებულებაში არსებულ საჯარო ინფორმაციას ითხოვს.

საქართველოში ინფორმაციის თავისუფლების საკითხები დეტალურად განხილულია IDFI-ის მიერ 2012 წელს გამოცემულ „ინფორმაციის თავისუფლების გზამკვლევი“, რომელიც დაინტერესებულ პირთათვის ხელმისაწვდომია პროექტის www.opendata.ge კვლევების განყოფილებაში.

III ა(ა)იპ – ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის მიერ პროექტის ფარგლებში წარმოებული საქმიანობა

1. საჯარო ინფორმაციის მოთხოვნა

ინსტიტუტის მიერ პროექტის ფარგლებში განხორციელებული ძირითადი საქმიანობის კომპონენტს კვლავაც წარმოადგენდა საჯარო დაწესებულებებიდან საჯარო ინფორმაციის მოთხოვნა. აღნიშნულის სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენდა სზაკ-ის 37-ე მუხლის პირველ ნაწილი, რომლის თანახმადაც საჯარო ინფორმაციის მომთხოვნი შეიძლება იყოს ყველა პირი ანუ ნებისმიერი ფიზიკური ან/და იურიდიული პირი. ამისათვის, საჯარო დაწესებულებებს წარედგინებოდათ ამავე მუხლის მეორე ნაწილით გათვალისწინებული წერილობითი განცხადება.³ აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ამ განცხადების შაბლონური ფორმა კანონმდებლობით დადგენილი არ არის, თუმცა სზაკ-ის 78-ე მუხლით დადგენილია განცხადების შინაარსი ადმინისტრაციული ორგანოსადმი მიმართვის შემთხვევაში.⁴ სწორედ აღნიშნული საკანონმდებლო ნორმებით შედგენილი განცხადებით მიმართავდა ინსტიტუტი საჯარო დაწესებულებებს პროექტის ფარგლებში.

³ სზაკ-ის 37-ე მუხლი

1. ყველას აქვს უფლება მოითხოვოს საჯარო ინფორმაცია მისი ფიზიკური ფორმისა და შენახვის მდგომარეობის მიუხედავად და აირჩიოს საჯარო ინფორმაციის მიღების ფორმა, თუ იგი სხვადასხვა სახით არსებობს, აგრეთვე გაეცნოს ინფორმაციას დედანში. თუ არსებობს დედნის დაზიანების საფრთხე, საჯარო დაწესებულება ვალდებულია უზრუნველყოს ზედამხედველობის ქვეშ მისი გაცნობის შესაძლებლობა ან წარუდგინოს სათანადო წესით დამოწმებული ასლი.

2. საჯარო ინფორმაციის მისაღებად პირი წარადგენს წერილობით განცხადებას. აუცილებელი არ არის, განცხადებაში მიეთითოს საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის მოტივი ან მიზანი. სხვისი კომერციული საიდუმლოების მოთხოვნის თაობაზე განცხადების შეტანისას განმცხადებელი, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა, წარადგენს შესაბამისი პირის სანოტარო წესით ან ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დამოწმებულ თანხმობას. (25.05.2012. N6327)

⁴ სზაკ-ის 78-ე მუხლი

1. განცხადება უნდა იყოს წერილობითი ფორმით და შეიცავდეს:

- ა) იმ ადმინისტრაციული ორგანოს დასახელებას, რომელსაც მიმართავს განმცხადებელი;
- ბ) განმცხადებლის ვინაობასა და მისამართს;
- გ) მოთხოვნას;
- დ) განცხადების წარდგენის თარიღსა და განმცხადებლის ხელმოწერას;
- ე) განცხადებაზე დართული საბუთების ნუსხას, მათი არსებობის შემთხვევაში.

2. განცხადებას უნდა დაერთოს ყველა ის საბუთი, რომლის წარდგენის ვალდებულებაც განმცხადებელს კანონით ეკისრება.

3. განმცხადებელს უფლება აქვს წარუდგინოს შესაბამის ადმინისტრაციულ ორგანოს ყველა სხვა საბუთი,

ინსტიტუტის მიერ საჯარო დაწესებულებებიდან ინფორმაციის მოთხოვნის პროცესთან მიმართებაში აღსანიშნავია აგრეთვე სზაკ-ის 37-ე მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრული საჯარო ინფორმაციის მიღების ფორმის არჩევის შესაძლებლობა. IDFI-ი მოთხოვნილი ინფორმაციის მოწოდებას ითხოვდა ქსეროასლის ან ელექტრონული დოკუმენტის სახით. ალტერნატივის დაკონკრეტებით, იქმნებოდა საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის პროცესის გარკვეულწილად გამარტივებისა და დაჩქარების შესაძლებლობა, თუმცა რიგ შემთხვევებში საჯარო დაწესებულებათა მხრიდან ხდებოდა ხსენებული საკანონმდებლო ნორმის სრული უგულვებელყოფა - დაწესებულებათა მხრიდან სახეზე იყო საჯარო ინფორმაციის მიღების ფორმის ინსტიტუტისათვის იმპერატიული წესით შეთავაზება.

ევროკავშირის კანონმდებლობით,⁵ დაწესებულებას გააჩნია შესაძლებლობა განმცხადებელს მიუთითოს სასურველი დოკუმენტის მოძიების გზა, თუ დოკუმენტი უკვე გამოცემულია და ადვილად ხელმისაწვდომია მისთვის, თუმცა საქართველოს კანონმდებლობა საჯარო ინფორმაციის მიღების ფორმის არჩევის (თუ იგი სხვადასხვა ფორმით არსებობს) ცალსახა პრეროგატივას სწორედ რომ განმცხადებელს ანიჭებს

ასე, მაგალითად საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ მის ხელმძღვანელ პირთა ბიოგრაფიული მონაცემების მოწოდების მოთხოვნაზე, სასურველი ინფორმაციის სანახავად ინსტიტუტს მიუთითა ფინანსთა სამინისტროს ოფიციალური ვებ-გვერდი.⁶ ანალოგიური პასუხი გაგვცა საქართველოს თავდაცვის სამინისტრომაც.⁷ საქართველოს დასაქმების მინისტრის სახელმწიფო აპარატმა 2012 წელს განხორციელებული სოციალური და კულტურული ღონისძიებების ჩამონათვალის მოწოდებისაგან თავის შეკავებისას ინსტიტუტს ამცნო, რომ მოთხოვნილი ინფორმაცია განთავსებული იყო მის ოფიციალურ ვებ-გვერდზე.⁸ დოკუმენტის მოწოდებისგან თავის არიდება რიგ დაწესებულებათა მხრიდან ხორციელდებოდა არამარტო საკუთარ ვებ-გვერდებზე გადამისამართებით, არამედ სხვა ელექტრონულ რესურსებზე მითითებითაც. მაგალითად, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მის მიერ განხორციელებული შესყიდვების შესახებ ინფორმაციის სანახავად ინსტიტუტი გადაამისამართა კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ვებ-გვერდზე,⁹ ხოლო ქ. თბილისის მერიამ ქ. თბილისის 2010-2011 წლების ბიუჯეტების და მათი შესრულების ანგარიშების ხილვა ინსტიტუტს მერიის ოფიციალურ ვებ-გვერდზე შესთავაზა.¹⁰

რომელიც შეიძლება საფუძვლად დაედოს განმცხადებლის მიერ მოთხოვნილი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას. (24.06.2005.N1801)

⁵ ევროპის პარლამენტის, საბჭოსა და კომისიის დოკუმენტებზე საჯარო ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებული რეგულირება (EC) 1049/2001, მუხლი 10.

⁶ გადამისამართება განხორციელდა ვებ-გვერდის მისამართზე: www.mof.ge

⁷ გადამისამართება განხორციელდა ვებ-გვერდის მისამართზე: www.mod.gov.ge

⁸ გადამისამართება განხორციელდა ვებ-გვერდის მისამართზე: www.employment.gov.ge

⁹ გადამისამართება განხორციელდა ვებ-გვერდის მისამართზე: www.tenders.procurement.gov.ge

¹⁰ გადამისამართება განხორციელდა ვებ-გვერდის მისამართზე: www.tbilisi.gov.ge

დაინტერესებულ პირთათვის საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის პროცესის გაადვილების მიზნით, ინსტიტუტს შემუშავებული აქვს საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის ჩამოსატვირთი ნიმუში, რომელიც ხელმისაწვდომია პროექტის ვებ-გვერდის შემდეგ ბმულზე:
[http://www.opendata.ge/?lang=ka/cat/how to ask for public information](http://www.opendata.ge/?lang=ka/cat/how%20to%20ask%20for%20public%20information)

უნდა აღინიშნოს, რომ ამგვარი პასუხები ვერ ჩაითვლება სრულყოფილად, მეტიც, ისინი არ შეიძლება ჩაითვალოს მოწოდებულ საჯარო ინფორმაციადაც, ვინაიდან სზაკ-ის თანახმად ნებისმიერ პირს თავად აქვს უფლება აირჩიოს საჯარო ინფორმაციის მიღების სახე და ფორმა, ამავე დროს თუ ინფორმაციის მოთხოვნს არ აქვს წვდომა ინტერნეტთან ირღვევა მისი უფლებაც მიიღოს საჯარო ინფორმაცია.

მიუხედავად, ერთი შეხედვით საკმაოდ მრავალმხრივი სამართლებრივი უფლებისა, საჯარო ინფორმაციის მიღების უფლება მაინც არ წარმოადგენს აბსოლუტურ უფლებას და იგი შეიძლება შეიზღუდოს სხვადასხვა საშუალებით. შეზღუდვის ფარგლებს აწესებს საქართველოს კონსტიტუცია,¹¹ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი¹², საქართველოს კანონი „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ“ და საქართველოს კანონი „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ.“

საჯარო ინფორმაციის მიღების უფლება შესაძლებელია კანონიერად შეიზღუდოს, რაც ნიშნავს იმას, რომ საქართველოს კანონმდებლობა არ იძლევა ადმინისტრაციულ ორგანოში არსებული საიდუმლო ინფორმაციის შემცველი ინფორმაციის გაცნობისა და მისი ასლების მიღების საშუალებას

2. მოთხოვნილი საჯარო ინფორმაცია

პროექტის ფარგლებში ინსტიტუტი საჯარო დაწესებულებებიდან ითხოვდა იმგვარ ინფორმაციას, რომლის მოლოდინიც, რომ იგი შეიძლება წარმოადგენდეს საიდუმლოების შემცველ ინფორმაციას ან დახურულ პერსონალურ მონაცემებს არ არსებობდა. ამასთან, ინსტიტუტი იყენებდა სზაკ-ის 37-ე მუხლით მინიჭებულ უფლებას მოეთხოვა ნებისმიერი სახის საჯარო ინფორმაცია მისი ფიზიკური ფორმისა და შენახვის მდგომარეობის მიუხედავად.

მიუხედავად ამისა, სამწუხაროდ ინსტიტუტი კვლავ, ისევე როგორც წინა წლებში, წააწყდა საქართველოში საჯარო ინფორმაციის მიღება-მოთხოვნის პროცესთან დაკავშირებულ ორ ძირითად პრობლემატურ ინტერპრეტაციას, ესაა - დახურული ინფორმაციის და საჯარო ინფორმაციის ცნებათა მცდარი განმარტება.

¹¹ იხ. სქოლიო №2, საქართველოს კონსტიტუციის 41-ე მუხლი.

¹² სზაკ-ის 27¹, 27², 27³, 27⁴, 28, 42 მუხლები.

2.1 დახურული ინფორმაცია

მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, გარკვეული ტიპის საჯარო ინფორმაცია დახურულია ანუ მასზე არ ვრცელდება ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უფლება.¹³ შესაძლებელია აღნიშნული ინფორმაციის ხუთი ტიპის გამოყოფა:

- 1) **სახელმწიფო საიდუმლოება** - არეგულირებს „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ“ საქართველოს კანონი;
- 2) **პერსონალური მონაცემები** - არეგულირებს „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი;
- 3) **კომერციული საიდუმლოება** - არეგულირებს სზაკ-ის 27² მუხლი;
- 4) **პროფესიული საიდუმლოება** - არეგულირებს სზაკ-ის 27³ მუხლი და „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონი;;
- 5) **აღმასრულებელი პრივილეგიით დაცული მონაცემები** - არეგულირებს სზაკ-ის 29-ე მუხლი.

იმის გათვალისწინებით, რომ ინსტიტუტს თავისი არსებობის მანძილზე საჯარო დაწესებულებებიდან არ მიუღია უარი საჯარო ინფორმაციის გაცემაზე, მოთხოვნილი ინფორმაციის პროფესიული საიდუმლოების¹⁴ ან აღმასრულებელი პრივილეგიით დაცულობის მოტივით,¹⁵ ძირითად ყურადღებას გავამახვილებთ დახურული ინფორმაციის დანარჩენ ტიპებზე და იმ ასპექტებზე, რომელთა შემთხვევაშიც ინსტიტუტს უსაფუძვლოდ მიაჩნია რიგ საჯარო დაწესებულებათა უარი პროექტის ფარგლებში მოთხოვნილი კონკრეტული საჯარო ინფორმაციის გაცემაზე.

¹³ *ჯორბენაძე ს.*, ინფორმაციის თავისუფლება - გზამკვლევი, თბილისი, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი, პირველი გამოცემა, 2012, 23. ხელმისაწვდომია:

<http://www.opendata.ge/userfiles/files/FoI%20guidebook%20IDFI.pdf>

¹⁴ „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლი

ო) პროფესიული საიდუმლოება – აღსარების საიდუმლოება, პარლამენტის წევრის, ექიმის, ჟურნალისტის, უფლებადამცველის, დამცველის პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებით მათთვის განდობილი ინფორმაცია, აგრეთვე პროფესიული ფასეულობის მქონე ინფორმაცია, რომელიც პირისათვის ცნობილი გახდა კონფიდენციალურობის დაცვის პირობით, მის მიერ პროფესიული მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით და რომლის გამჟღავნებამ შეიძლება ზიანი მიაყენოს პირის პროფესიულ რეპუტაციას. ინფორმაცია, რომელიც არ შეიცავს პერსონალურ მონაცემებს, სახელმწიფო ან კომერციულ საიდუმლოებას, აგრეთვე ადმინისტრაციული ორგანოს შესახებ ინფორმაცია არ არის პროფესიული საიდუმლოება. (25.05.2012 N 6328)

¹⁵ სზაკ-ის 29-ე მუხლი

თანამდებობის პირის მიერ გადაწყვეტილებათა მომზადების პროცესში მონაწილე სხვა საჯარო მოსამსახურეთა (გარდა სახელმწიფო პოლიტიკური თანამდებობის პირებისა) ვინაობა დაცულია გამხელისაგან აღმასრულებელი პრივილეგიით.

საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმისას საჯარო დაწესებულებები ხშირად მხოლოდ უარის მოტივის მითითებით შემოიფარგლებიან. აღნიშნული წარმოადგენს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით მათზე დაკისრებული ვალდებულების დარღვევას, რადგან საჯარო დაწესებულება ვალდებულია გადაწყვეტილების მიღებიდან სამი დღის ვადაში პირს წერილობით განუმარტოს მისი უფლებები და გასაჩივრების წესი, ასევე მიუთითოს ის სტრუქტურული ქვედანაყოფი ან საჯარო დაწესებულება, რომელთანაც წარმოებდა კონსულტაცია ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის გადაწყვეტილების მიღებისას

სახელმწიფო საიდუმლოებასთან მიმართებაში, აღსანიშნავია საქართველოს თავდაცვის სამინისტროს პასუხი ინსტიტუტის მოთხოვნაზე, რომელიც ეხებოდა სამინისტროს მიერ 2012 წელს შექმნილი ავტოსატრანსპორტო საშუალებების ჩამონათვალის (ავტოსატრანსპორტო საშუალების მარკის, შესყიდვის ფასისა და გამოშვების წელის მითითებით) მოწოდებას. მართალია სამინისტრომ მიგვითითა ის კანონქვემდებარე აქტი,¹⁶ რომლის საფუძველზეც შექმნილ იქნა ავტოსატრანსპორტო საშუალებები, თუმცა არ დაუკონკრეტებია მუხლი, რომლის თანახმადაც მოთხოვნილი ინფორმაციის გაცემა შეიზღუდა. აგრეთვე სზაკ-ის 41-ე მუხლის თანახმად, სამინისტრომ წერილობით არ განუმარტა ინსტიტუტს მისი უფლებები და საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის გასაჩივრების წესი, რაც მის ვალდებულებას წარმოადგენდა. ინსტიტუტისათვის უფლებები არც საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალურ სამსახურს განუმარტავს, როდესაც მოთხოვნილი საშტატო ნუსხის პასუხად ინსტიტუტს ზოგადად აცნობა, რომ ნუსხას საქართველოს კანონმდებლობით მინიჭებული აქვს გრიფი „საიდუმლო“, თუმცა სამართლებრივ საფუძველად რომელიმე კონკრეტული სამართლებრივი აქტის მითითება, რომლითაც ინფორმაციას აღნიშნული გრიფი ადევს სამინისტროს მხრიდან არ განხორციელებულა.

2011 წლის 28 დეკემბერს საქართველოში მიღებულ იქნა კანონი „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“, რომელმაც დააწესა პერსონალური მონაცემების დამუშავების ევროკავშირის კანონმდებლობასთან მაქსიმალურად მიახლოებული რეჟიმი. ამასთან, 2012 წლის 25 მაისი შესაბამისი ცვლილება განიცადა სზაკ-ის 27¹ მუხლმა, რომელმაც დააკონკრეტა, რომ ინფორმაციის თავისუფლებასთან მიმართებაში პერსონალური მონაცემების ცნება, მათ დაცვასა და დამუშავებასთან დაკავშირებული ურთიერთობები წესრიგდება „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით. კანონმა პერსონალური მონაცემების ფართო ინტერპრეტირება დააწესა - ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც უკავშირდება იდენტიფიცირებულ ან იდენტიფიცირებად ფიზიკურ პირს.¹⁷ ამასთან, დაკონკრეტდა მონაცემთა დამუშავების ცნებაც, რომლის ქვეშაც სრულად მოექცა საჯარო ინფორმაციის გაცემა.¹⁸

¹⁶ მითითებულ იქნა „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ“ საქართველოს კანონის ამოქმედებასთან დაკავშირებული ნორმატიული აქტების დამტკიცების თაობაზე საქართველოს პრეზიდენტის 1997 წლის 21 იანვრის №42 ბრძანებულება

¹⁷ საქართველოს კანონი „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ.“ მუხლი 2, პუნქტი ა).

¹⁸ საქართველოს კანონი „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ.“ მუხლი 2.

დ) ავტომატური ან არავტომატური საშუალებების გამოყენებით მონაცემთა მიმართ შესრულებული ნებისმიერი მოქმედება, კერძოდ,

შეგროვება, ჩაწერა, ფოტოზე აღბეჭდვა, აუდიო- ან ვიდეოჩაწერა, ორგანიზება, შენახვა, შეცვლა, აღდგენა, გამოთხოვა, გამოყენება ან გამჟღავნება მონაცემთა გადაცემის, გავრცელების ან სხვაგვარად ხელმისაწვდომად გახდომის გზით, დაჯგუფება ან კომბინაცია, დაბლოკვა, წაშლა ან განადგურება

საჯარო ინფორმაციის ღიაობასთან მიმართებაში მნიშვნელოვანია პერსონალურ მონაცემთა დამუშავების კანონმდებლობით განსაზღვრული საფუძვლებიც. „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის თანახმად მონაცემთა დამუშავება დასაშვებია თუ:

ა) არსებობს მონაცემთა სუბიექტის თანხმობა;

ბ) მონაცემთა დამუშავება გათვალისწინებულია კანონით;

გ) მონაცემთა დამუშავება საჭიროა მონაცემთა დამმუშავებლის მიერ მისთვის

კანონმდებლობით დაკისრებული მოვალეობების შესასრულებლად;

დ) მონაცემთა დამუშავება საჭიროა მონაცემთა სუბიექტის სასიცოცხლო

ინტერესების დასაცავად;

ე) მონაცემთა დამუშავება აუცილებელია მონაცემთა დამმუშავებლის ან მესამე

პირის კანონიერი ინტერესების დასაცავად, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც არსებობს

მონაცემთა სუბიექტის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის აღმატებული ინტერესი;

ვ) კანონის თანახმად, მონაცემები საჯაროდ ხელმისაწვდომია ან მონაცემთა

სუბიექტმა ისინი ხელმისაწვდომი გახადა;

ზ) მონაცემთა დამუშავება აუცილებელია კანონის შესაბამისად მნიშვნელოვანი

საჯარო ინტერესის დასაცავად;

თ) მონაცემთა დამუშავება აუცილებელია მონაცემთა სუბიექტის განცხადების

განსახილველად (მისთვის მომსახურების გასაწევად).

როგორც ირკვევა, მონაცემთა სუბიექტის (პირი, რომლის შესახებაც მონაცემები მუშავდება) თანხმობა წარმოადგენს მხოლოდ ერთ-ერთ სამართლებრივ საფუძველს მონაცემთა დამუშავებისა, მ.შ. საჯარო დაწესებულების მიერ საჯარო ინფორმაციის გაცემისას. თუ პირის შესახებ მონაცემთა დამუშავება გათვალისწინებულია კანონით (მაგ. სზაკ-ის 44-ე მუხლით დადგენილი თანამდებობის პირთა პერსონალური მონაცემების გახმაურების ვალდებულება, თანამდებობის პირის მიერ ქონებრივი მდგომარეობის დეკლარირება¹⁹ და ა.შ.), მაშინ თანხმობის მექანიზმი მონაცემთა დამუშავებასთან მიმართებაში საერთოდ არ გამოიყენება.

ამავე კონტექსტში აღსანიშნავია საქართველოს კონსტიტუციის 41-მუხლის მე-2 პუნქტის დათქმა:

„ოფიციალურ ჩანაწერებში არსებული ინფორმაცია, რომელიც დაკავშირებულია ადამიანის ჯანმრთელობასთან, მის ფინანსებთან ან სხვა კერძო საკითხებთან, არავისთვის არ უნდა იყოს ხელმისაწვდომი თვით ამ ადამიანის თანხმობის გარეშე, გარდა კანონით დადგენილი შემთხვევებისა,

¹⁹ საქართველოს კანონი „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ.“

როდესაც ეს აუცილებელია სახელმწიფო უშიშროების ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, ჯანმრთელობის, სხვათა უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად“.

საგულისხმოა „კერძო საკითხების“ ცნება, რომლის ქვეშაც გაერთიანებულია მათ შორის ადამიანის ჯანმრთელობასთან და მის ფინანსებთან დაკავშირებული ინფორმაცია. მარტივი ლოგიკა და ანტონიმების ცოდნა გვკარნახობს, რომ კერძო საკითხებს არ უნდა მიეკუთვნებოდეს საჯარო საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაცია, ასეთი მაგალითად შეიძლება იყოს საჯარო უფლებამოსილების განხორციელებისას მიღებული ხელფასი და პრემია, კონკრეტულ პირთა სახელმწიფო სამივლინებო ხარჯები და ა.შ. აღნიშნულ მარტივ მოსაზრებას ამყარებს შესაბამისი იურიდიული ლიტერატურაც:

„კონსტიტუციის 41-ე მუხლის მე-2 პუნქტი არ აკონკრეტებს, თუ რა უნდა ვიგულისხმოთ „კერძო საკითხებში.“ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ადამიანის ინტიმური ცხოვრების სფეროს მიკუთვნებული ურთიერთობები განსაზღვრავს „კერძო საკითხების“ შინაარსს.“²⁰

პროექტის ფარგლებში, IDFI-იმ მიმართა **ფინანსთა სამინისტროს საგამომიებო სამსახურს** მოთხოვნით მოეწოდებინათ ხელმძღვანელისა და მისი მოადგილეების პრემიების ოდენობის შესახებ საჯარო ინფორმაცია. დაწესებულებამ განაცხადა უარი საჯარო ინფორმაციის გაცემაზე, იმ მოტივით რომ ხელმძღვანელისა და მისი მოადგილეებზე დარიცხული პრემიების ოდენობის შესახებ ინფორმაცია წარმოადგენს მაიდენტიფიცირებელ ინფორმაციას და სზაკ-ის 28-ე მუხლის თანახმად მიჩნეულია დახურულ პერსონალურ მონაცემად. ამ მაგალითზე, სამსახური უგულებელყოფს სზაკ-ის 44-ე მუხლის არსებობას, რომლის თანახმადაც საჯარო დაწესებულება ვალდებულია არ დაუფაროს განმცხადებელს თანამდებობის პირთა პერსონალური მონაცემები. სამსახურის პასუხისმგებელი პირების მსჯელობა ეწინააღმდეგება „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონსაც, იმ ნაწილში როდესაც ის დაუშვებლად ცნობს კანონით გათვალისწინებულ მონაცემთა (სზაკ-ის 44 მუხლი) დამუშავებას/საჯარო ინფორმაციის სახით გაცემას.

სზაკ-ის 44-ე მუხლის პირდაპირი უგულებელყოფის შემთხვევას წააწყდა ინსტიტუტი **საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის** პასუხის მაგალითზეც, როდესაც ამ უკანასკნელმა საქართველოს 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდგომ დანიშნული თანამდებობის პირების ბიოგრაფიული მონაცემები გასაცემად დაუშვებელ პერსონალურ მონაცემთა შემცველ ინფორმაციად მიიჩნია.

პარადოქსული პრეცედენტი შექმნა **საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელმა ეროვნულმა კომისიამ**, როდესაც კონსტიტუციის 41-ე მუხლის მე-2 პუნქტსა და სზაკ-ის 44 მუხლზე დაყრდნობით უარი განუცხადა ინსტიტუტს გაეცა ინფორმაცია კომისიის ხელმძღვანელის (რომელიც მოქმედი კანონმდებლობით წარმოადგენს თანამდებობის პირს) ქვეყნის გარეთ განხორციელებულ ოფიციალურ და სამუშაო ვიზიტებზე გაწეული სამივლინებო ხარჯების შესახებ, ხსენებული მუხლებით დადგენილი „კონფიდენციალურობის“ მოტივით. ამასთან ლოგიკურია, რომ კომისია თავის უარის წერილში ვერ მსჯელობს იმის თაობაზე, თუ რატომაა მოთხოვნილი ინფორმაცია დახურული და რას ნიშნავს ტერმინი - „კონფიდენციალური.“ თუმცა შეიძლება ითქვას, რომ ამგვარი პასუხით კომისია ფაქტობრივად უთითებს იმ გარემოებაზე, რომ ა)

²⁰ ლევან იზორია, კონსტანტინე კორკელია, კონსტანტინე კუბლაშვილი, გიორგი ხუბუა „საქართველოს კონსტიტუციის კომენტარები“, თბ. 2005 წ. გვ 360.

მას არ სურს აღიაროს მისი ხელმძღვანელი თანამდებობის პირად სზაკ-ის მიზნებისათვის და ბ) მისი ხელმძღვანელის სამოქალაქო საზოგადოებიდან დაფინანსებული სამსახურეობრივი სამივლინებო ხარჯი წარმოადგენს მის კერძო ფინანსურ საკითხს. ზუსტად იგივე ლოგიკით და საფუძვლით, იმავე უარის წერილში კომისიას არ სურს გასცეს ინფორმაცია ხელმძღვანელსა და მის მოადგილეებზე (აგრეთვე თანამდებობის პირებზე) ცალ-ცალკე დარიცხული პრემიების ოდენობის შესახებ.

როდესაც საჯარო დაწესებულება უარს აცხადებს თანამდებობის პირთა საჯარო უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ნებისმიერი ინფორმაციის გახმაურებაზე, იგი არღვევს საქართველოს კონსტიტუციას (ინფორმაცია არ შეეხება კერძო საკითხებს), ზოგად ადმინისტრაციულ კოდექსს (თანამდებობის პირთა პერსონალური მონაცემები ღიაა) და პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ კანონს (ინფორმაციის გაცემა უკვე გათვალისწინებულია კანონით და არ საჭიროებს პირის თანხმობას)

ნიმანდობლივია აგრეთვე პერსონალურ მონაცემთა დაცვის მთავარი ელემენტის - პერსონალური მონაცემების ცნების, კერძოდ კი იდენტიფიცირებადობის ასპექტის,²¹ არასწორი ინტერპრეტირების პრაქტიკა საჯარო დაწესებულებათა მხრიდან. ამ კუთხითაც, კვლავ გამოირჩევა საქართველოს ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია, რომელმაც უარი განუცხადა ინსტიტუტს მოეწოდებინა ინფორმაცია მის თანამშრომლებზე დარიცხული პრემიების საერთო ოდენობის შესახებ, იმ მოტივით, რომ საჯარო დაწესებულება ვალდებულია არ გაახმაუროს პერსონალური მონაცემები თვით ამ პირის თანხმობის ან კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში – სასამართლოს დასაბუთებული გადაწყვეტილების გარეშე.²² საკითხავია, როგორ შეიძლება ადამიანთა ჯგუფთან დაკავშირებულმა არაფიქსირებული თანხის საერთო ოდენობამ მოახდინოს ჯგუფის წევრ რომელიმე ადამიანის პირდაპირი თუ არაპირდაპირი იდენტიფიცირება.

პროექტის ფარგლებში საჯარო ინფორმაციის გამოთხოვნის პროცესში ინსტიტუტმა ერთ-ერთ შემთხვევაში მიიღო უარი ინფორმაციის გაცემაზე კომერციული საიდუმლოების მოტივით. კერძოდ, IDFI-იმ მიმართა ქ. თბილისის მერიას, 2013 წლის იანვრის თვისათვის არსებული, მერიასა და შპს „სიტი პარკს“ შორის გაფორმებული ყველა ხელშეკრულების ასლის მიღების მოთხოვნით. მერიის საჯარო ინფორმაციის გაცემის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელმა პირმა გადაუგზავნა მოთხოვნა სსიპ „ქონების მართვის სააგენტოს“, რომელმაც თავის მხრივ ინსტიტუტს სზაკ-ის 37¹ მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საკითხის შემდგომი განხილვის მიზნით მოითხოვა კომპანიის მიერ გაცემული თანხმობის წარმოდგენა. უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ ამ მუხლით წარმოდგენილი მოთხოვნა მოკლებულია სამართლებრივ საფუძველს, ვინაიდან იგი არეგულირებს საჯარო დაწესებულებათა შორის, მათთან დაცულ კომერციულ საიდუმლოებას მიკუთვნებული ინფორმაციის ცნობის სახით ერთმანეთზე გაცემის მექანიზმს. ამასთან წერილობითი თანხმობის წარმოდგენის ვალდებულება ამ შემთხვევაში, ეკისრება ინფორმაციის მომთხოვნ საჯარო

²¹ პერსონალური მონაცემი არის ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც უკავშირდება იდენტიფიცირებულ ან იდენტიფიცირებად ფიზიკურ პირს. პირი იდენტიფიცირებადია, როდესაც შესაძლებელია მისი იდენტიფიცირება პირდაპირ ან არაპირდაპირ, კერძოდ, საიდენტიფიკაციო ნომრით ან პირის მახასიათებელი ფიზიკური, ფიზიოლოგიური, ფსიქოლოგიური, ეკონომიკური, კულტურული ან სოციალური ნიშნებით. საქართველოს კანონი „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“, მუხლი 2, პუნქტი ა).

²² სზაკ-ის 44-ე მუხლი.

დაწესებულებას.²³ კომერციული საიდუმლოების შემცველი ინფორმაციის მოთხოვნასთან დაკავშირებით აღსანიშნავია სზაკ-ის 37-ე მუხლის მე-2 ნაწილის დათქმა, რომლითაც სხვისი კომერციული საიდუმლოების მოთხოვნის თაობაზე განცხადების შეტანისას განმცხადებელი, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა, წარადგენს შესაბამისი პირის სანოტარო წესით ან ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დამოწმებულ თანხმობას. მართალია კანონი თანხმობის მოპოვებისა და წარდგენის ვალდებულებას განმცხადებელს აკისრებს, თუმცა საინტერესოა თუ რა იგულისხმება კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში. კომერციული საიდუმლოება სახეზეა მაშინ, თუ იგი კერძო სამართლის იურიდიულ პირთა და სხვა მეწარმეთა შესახებ არსებულ მონაცემებს შეიცავს,²⁴ ანუ საჯარო დაწესებულებაში დაცულია კერძოსამართლებრივ ურთიერთობაში მყოფი სუბიექტების, მათ კონკურენტუნარიანობისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაცია. სზაკ-ის 27² მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ინფორმაცია ადმინისტრაციული ორგანოს შესახებ არ წარმოადგენს კომერციულ საიდუმლოებას. ამგვარად, თუ ინფორმაცია ადმინისტრაციული ორგანოს შესახებ კომერციული ხასიათისაა, იგი ვერ იქნება საიდუმლოების შემცველი, შესაბამისად თანხმობის მოპოვებისა და მოწოდების, გასაიდუმლოების პროცედურის და სხვა შესაბამის მექანიზმებზე მითითებაც უადგილოა.

ინსტიტუტის აზრით სსიპ „ქონების მართვის სააგენტოს“ უარის მაგალითზე სახეზეა ინსტიტუტის მიერ ინფორმაციის მიღების უფლების დარღვევა. კერძოდ: სზაკ-ის მე-2 მუხლის ა) პუნქტი განმარტავს ტერმინს „ადმინისტრაციული ორგანო“. სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის დაწესებულებებსა და სსიპ-ებთან ერთად, ადმინისტრაციულ ორგანოს წარმოადგენს **ნებისმიერი სხვა პირი, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე ასრულებს საჯარო სამართლებრივ უფლებამოსილებებს**. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125 მუხლის მე-8 ნაწილის თანახმად ამკრძალავი ნიშნის „გაჩერება აკრძალულია“ და „დგომა აკრძალულია“ მოთხოვნის დაუცველობა, აგრეთვე დგომა-გაჩერების წესებით გათვალისწინებული სხვა მოთხოვნის დაუცველობა გამოიწვევს დაჯარიმებას 10 ლარის ოდენობით, ხოლო ამავე კოდექსის 125² მუხლის თანახმად დედაქალაქის ტერიტორიაზე პარკირების ადგილას ავტოტრანსპორტის პარკირებისათვის თვითმმართველი ერთეულის მიერ დადგენილია საფასური. ამ საფასურის გადახდის გარეშე ავტოტრანსპორტის დგომა ან პარკირების წესების დარღვევა იწვევს სანქციებს. კანონმდებლობა ავტოტრანსპორტის სპეციალურ დაცულ სადგომზე

²³ სზაკ-ის 37¹-ე მუხლი

1. საჯარო დაწესებულება ვალდებულია სათანადო წერილობითი თხოვნის საფუძველზე სხვა საჯარო დაწესებულებაზე ცნობის სახით გასცეს მასთან დაცული პერსონალური მონაცემები ან კომერციულ საიდუმლოებას მიკუთვნებული ინფორმაცია, რომელიც აუცილებელია საჯარო დაწესებულებისათვის საკითხის გადასაწყვეტად, თუ იგი წარუდგენს იმ პირის წერილობით თანხმობას, რომლის პერსონალურ მონაცემებს ან კომერციულ საიდუმლოებას წარმოადგენს შესაბამისი ინფორმაცია.
2. ამ მუხლის პირველ ნაწილში აღნიშნული წერილობითი თანხმობა გაცემულად ითვლება, თუ პირი განცხადებაში ან სხვა რაიმე წერილობით დოკუმენტში გამოხატავს თანხმობას, რომ საჯარო დაწესებულებამ, რომლისგანაც იგი ითხოვს საკითხის გადაწყვეტას, თავად გამოითხოვოს მისი პერსონალური მონაცემები ან კომერციულ საიდუმლოებას მიკუთვნებული ინფორმაცია შესაბამისი საჯარო დაწესებულებისაგან.
3. სხვისი პერსონალური მონაცემების ან კომერციულ საიდუმლოებას მიკუთვნებული ინფორმაციის გამცემი და მომთხოვნი ორგანოები ვალდებული არიან დაიცვან აღნიშნული მონაცემების ან ინფორმაციის საიდუმლოება.

²⁴ ჯორბენაძე ს., ინფორმაციის თავისუფლება - გზამკვლევი, თბილისი, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი, პირველი გამოცემა, 2012, 29. ხელმისაწვდომია:

<http://www.opendata.ge/userfiles/files/FoI%20guidebook%20IDFI.pdf>

გადაყვანის, მ.შ. მისი თვლების ბლოკირების უფლებას ანიჭებს ადგილობრივი თვითმმართველობის შესაბამის ორგანოს *ან მის მიერ უფლებამოსილი პირს*. ქ. თბილისის მერი თავისი ბრძანებით²⁵ ხსენებულ მუხლებით გათვალისწინებულ სამართალდარღვევებზე საჯარო ქვითრის (ოქმის) შედგენის უფლებამოსილებას ანიჭებს შპს „სი-ტი“ პარკს. ინსტიტუტის აზრით, აღნიშნული საკმარისია, რათა შპს „სი-ტი“ პარკი ფუნქციონალური გაგებით წარმოადგენდეს „ნებისმიერ სხვა პირში“ ნაგულისხმევ ადმინისტრაციულ ორგანოს, რომელზედაც დელეგირებულ იქნა საჯარო-სამართლებრივ უფლებამოსილებათა განხორციელება. აქედან გამომდინარე, **ინსტიტუტის მიერ მოთხოვნილი ინფორმაცია წარმოადგენდა ადმინისტრაციული ორგანოს შესახებ ინფორმაციას, რომელიც კანონით არ შეიძლება მიეკუთვნებოდეს კომერციულ საიდუმლოებას**. გარდა ამისა, იმ შემთხვევაშიც თუ თეორიულად დავუშვებთ, რომ შპს „სი-ტი“ პარკი არ წარმოადგენს ადმინისტრაციულ ორგანოს, სსიპ „ქონების მართვის სააგენტოს“ უარი მაინც არღვევს კანონმდებლობას ვინაიდან შპს „სი-ტი“ პარკი წარმოადგენს ბაზარზე ერთადერთ მოთამაშეს და შესაბამისად, მას არ ჰყავს კონკურენტი,²⁶ ხოლო სზაკ-ის 27² მუხლის პირველი ნაწილით განმარტებულ ტერმინში „კომერციული საიდუმლოება“ იგულისხმება ინფორმაცია, რომლის გამჟღავნებამ შესაძლოა ზიანი მიაყენოს პირის კონკურენტუნარიანობას²⁷ - ელემენტი, რომელიც სახეზე ვერ იქნება შპს „სი-ტი“ პარკის მაგალითზე. აგრეთვე უარის უსაფუძვლოება შესაძლებელია განხილულ იქნას სხვა კუთხითაც, იმ შემთხვევაშიც თუ დავუშვებთ, რომ შპს „სი-ტი“ პარკი არ წარმოადგენს ადმინისტრაციულ ორგანოს, მოთხოვნილი ინფორმაციას წარმოადგენდა მასსა და ადმინისტრაციულ ორგანოს - ქ. თბილისის მერიას შორის გაფორმებული ხელშეკრულებების ასლები, რა შემთხვევაშიც მოთხოვნილი ინფორმაცია არის აგრეთვე ადმინისტრაციულ ორგანოს შესახებ ინფორმაცია, რაც კანონით არ შეიძლება წარმოადგენდეს კომერციულ საიდუმლოებას.²⁸

²⁵ 2009 წლის 11 თებერვლის ქალაქ თბილისის მერის ბრძანება N17 „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8 ნაწილით და 125² მუხლით გავალისწინებულ შემთხვევებში საჯარო ქვითრის (ოქმის) ფორმის, მისი შევსების, ჩანარების, წარმოებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ.“

²⁶ შპს „სი-ტი პარკი“ ოფიციალური ვებ-გვერდიდან ირკვევა: „კომპანია “სი-ტი პარკ“-მა თბილისის მთავრობის მიერ გამოცხადებულ აუქციონზე 2007 წელს გაიმარჯვა. “სი-ტი პარკ“-ს აუქციონში გამარჯვების შემდეგ მიენიჭა პარკირების მართვის ექსკლუზიური უფლება 15 წლის ვადით.“ ხელმისაწვდომია: <http://ct-park.ge/about>

²⁷ სზაკ-ის 27²-ე მუხლი

1. კომერციული საიდუმლოება – ინფორმაცია კომერციული ფასეულობის მქონე გეგმის, ფორმულის, პროცესის, საშუალების თაობაზე ან ნებისმიერი სხვა ინფორმაცია, რომელიც გამოიყენება საქონლის საწარმოებლად, მოსამზადებლად, გადასამუშავებლად ან მომსახურების გასაწევად, ან/და რომელიც წარმოადგენს სიახლეს ან ტექნიკური შემოქმედების მნიშვნელოვან შედეგს, აგრეთვე სხვა ინფორმაცია, რომლის გამჟღავნებამ შესაძლოა ზიანი მიაყენოს პირის კონკურენტუნარიანობას.

²⁸ იხ. *ჯორბენაძე ს.*, ინფორმაციის თავისუფლება - გზამკვლევი, თბილისი, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი, პირველი გამოცემა, 2012, 30 – „*ადმინისტრაციული ორგანოს შესახებ არსებული ინფორმაცია არ შეიძლება იყოს საიდუმლოების შემცველი აქედან გამომდინარე, თუ საჯარო დაწესებულება ამ მიზეზით იტყვის უარს საჯარო ინფორმაციის გაცემაზე, პასუხი იქნება საქართველოს კანონმდებლობის საწინააღმდეგო ხასიათის და საჯარო ინფორმაციის მომთხოვნს წარმოეშობა შეცილების მართლზომიერი უფლება. მაგალითად: ქ. თბილისის მერიასა და ერთ-ერთ შპს-ს შორის ქალაქის გამწვანებაზე გაფორმებული ხელშეკრულება არ შეიძლება წარმოადგენდეს კომერციულ საიდუმლოებას*“. ხელმისაწვდომია: <http://www.opendata.ge/userfiles/files/FoI%20guidebook%20IDFI.pdf>

საჯარო დაწესებულებათა მიერ სახელმწიფო და კომერციული საიდუმლოების, აგრეთვე დახურულ პერსონალურ მონაცემთა შემცველ ინფორმაციის გაცემაზე საფუძვლიანი უარის თქმის დროსაც კი, საჭიროა განმცხადებელს ეცნობოს არამარტო ის კონკრეტული სამართლებრივი ნორმები, რის საფუძველზეც ითქვა უარი, არამედ სხვა ყველა შესაძლო დამატებითი ინფორმაცია, რაც საშუალებას მისცემს მას დარწმუნდეს უარის მართებულობაში ან გაასაჩივროს ის. მაგალითად, ამგვარ ინფორმაციას სახელმწიფო საიდუმლოებასთან მიმართებაში შეიძლება წარმოადგენდეს ისეთი რეკვიზიტი, როგორცაა სახელმწიფო საიდუმლოების ხარისხი და გრიფი, აგრეთვე იმ თანამდებობის პირზე მითითება, რომელმაც მიაკუთვნა სახელმწიფო საიდუმლოებას მოთხოვნილი ინფორმაცია; პერსონალურ მონაცემებთან მიმართებაში - მითითება იმაზე, რომ შესაბამისი ინფორმაციის მიღების შემდეგ, კონკრეტულ მონაცემთა სუბიექტს არ განუცხადებია თანხმობა მის შესახებ მონაცემთა გაცემაზე, ხოლო კომერციულ საიდუმლოებასთან მიმართებაში, რეკვიზიტი ან სხვა სახის ინფორმაცია, რომლითაც დასტურდება, რომ საჯარო დაწესებულებამ, სზაკ-ის 27³ მუხლის თანახმად, კონკრეტულ თარიღში მიიჩნია მოთხოვნილი ინფორმაცია კომერციულ საიდუმლოებად.²⁹

თუ კერძო კომპანიამ დაფინანსება მიიღო ბიუჯეტიდან, ამ დაფინანსების შესახებ ნებისმიერი პირის მიერ ინფორმაციის მოთხოვნისას, იგი ვალდებულია გასცეს იგი,³⁰ ხოლო თუ კერძო კომპანია ასრულებს საჯარო სამართლებრივ უფლებამოსილებებს, მის შესახებ მოთხოვნილი ინფორმაცია არ შეიძლება წარმოადგენდეს კომერციულ საიდუმლოებას.³¹

და ბოლოს, შევეხოთ დამატებით ორი ტიპის ინფორმაციას, რომელიც შეიძლება აღქმულ იქნეს, როგორც დახურული. პირველს წარმოადგენს, ე.წ. აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობაში ჩაურევლობის პრინციპიდან გამომდინარე დათქმა, რომ სზაკ-ი, და შესაბამისად საჯარო ინფორმაციის მოთხოვნა, არ ვრცელდება აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოთა იმ საქმიანობაზე, რომელიც დაკავშირებულია დანაშაულის ჩადენის გამო პირის სისხლის-სამართლებრივ დევნასთან და სისხლის სამართლის საქმის წარმოებასთან, აგრეთვე ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობასთან.³² მიუხედავად ნორმის ძალზედ ზოგადი ხასიათისა, ინსტიტუტს მიაჩნია, რომ რიგ შემთხვევებში სახეზეა მისი მიზნების არასწორი ინტერპრეტირება. მაგალითად შეიძლება მოყვანილ იქნეს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამომიებო სამსახური. ჯერ კიდევ წინა პროექტის ფარგლებში, ინსტიტუტის მიერ მოთხოვნილი უძრავი ქონების ჩამონათვალი დაწესებულებამ ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობასთან დაკავშირებულ საკითხს მიაკუთვნა და ინფორმაცია არ გასცა³³. მიმდინარე პროექტის ფარგლებში კი, ინსტიტუტმა ამავე სამსახურს მიმართა მოთხოვნით, გაეცა ინფორმაცია 2012 წლის პირველი ნოემბრიდან თბილისის საქალაქო

²⁹ [. . .] ინფორმაციის წარდგენისას პირი ვალდებულია მიუთითოს, რომ ეს ინფორმაცია მისი კომერციული საიდუმლოებაა. საჯარო დაწესებულება ვალდებულია 10 დღის ვადაში კომერციულ საიდუმლოებად მიიჩნიოს ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ინფორმაცია, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ინფორმაციის ღიაობის ვალდებულება დადგენილია კანონით [. . .].

³⁰ სზაკ-ის 27-ე მუხლი, პუნქტი ა).

³¹ სზაკ-ის მე-2 მუხლი, პუნქტი ა) და მუხლი 27² ნაწილი 2.

³² სზაკ-ის მე-3 მუხლის, მე-4 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტები. აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობაში ჩაურევლობის შესახებ დამატებით იხ. *გორბენაძე ს.*, ინფორმაციის თავისუფლება - გზამკვლევი, თბილისი, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი, პირველი გამოცემა, 2012, 34. ხელმისაწვდომია:

<http://www.opendata.ge/userfiles/files/FoI%20guidebook%20IDFI.pdf>

³³ იქვე. გვ. 35.

სასამართლოსათვის „სატელეფონო საუბრების ფარული მიყურადება და ჩაწერის“ შესახებ შუამდგომლობით მიმართვათა რაოდენობის, ამ შუამდგომლობათა სასამართლოს მიერ დაკმაყოფილების რაოდენობის და მოსამართლის სანქციის გარეშე განხორციელებულ ამ ტიპის ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებათა კანონიერად და უკანონოდ ცნობის რაოდენობათა შესახებ. სამსახურმა კვლავ განაცხადა უარი მოეწოდებინა ინფორმაცია, თუმცა ამჯერად სამსახურმა საკითხი მიაკუთვნა არამართო ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობას, არამედ დამატებით მიიჩნია ინფორმაცია დანაშაულის ჩადენის გამო პირის სისხლის-სამართლებრივ დევნასთან და სისხლის სამართლის საქმის წარმოებასთან კავშირში მყოფად.

უნდა აღინიშნოს, რომ პრობლემის არსი საკანონმდებლო ნორმის ზოგად დათქმაშია, რომელიც აძლევს საშუალებას ოპერატიულ-სამძებრო ორგანოებს, სასამართლოებს და სხვა დაწესებულებებს შესაბამისი ინფორმაციის მოთხოვნა საკმაოდ მარტივად უარყონ. უდავოა, რომ არსებობს აღმატებული საზოგადოებრივი ინტერესი ისეთი სფეროების მიმართ, როგორცაა ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა, დანაშაულებრივი და სხვა მართლსაწინააღმდეგო ხელყოფისაგან დაცვა, ქვეყანაში დანაშაულის დონის სტატისტიკა და *მისთ*. აღნიშნული ინტერესის საგანს აღიარებს თვით სახელმწიფოც, რისი ნათელი გამოხატულებაცაა, მაგალითად, შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ წარმოებული და განსაჯაროებული დანაშაულთა სტატისტიკა³⁴, რომელიც ფართო გაგებით კავშირშია სისხლის სამართლის საქმის წარმოებასთან. თუმცა აღნიშნული არ უნდა გამოირიცხავდეს მოთხოვნისას ამგვარი საჯარო ინფორმაციის გაცემის შესაძლებლობას. აღნიშნულის საწინააღმდეგოდ, ინსტიტუტს მიაჩნია დაუშვებელი იმგვარი ინფორმაციის გაცემა, რომელმაც ნებისმიერი სახით შეიძლება შეაფერხოს ან საფრთხე შეუქმნას გამოძიებას, შესაბამის ღონისძიებებსა თუ მუშაკებს, დანაშაულის ან სხვა მართლსაწინააღმდეგო ქმედების გამოვლენას, აღკვეთას, თავიდან აცილებას და *მისთ*. საჯარო ინფორმაციის გაცემით გამოწვეული ნებისმიერი ამგვარი საფრთხის ალბათობაც კი, უდავოდ უნდა ინტეგრირებულ იქნას შესაბამისი ორგანოს სასარგებლოდ.

კიდევ ერთი ტიპის ინფორმაცია, რომელიც შეიძლება აღქმულ იქნეს დახურულად არის ე.წ. **შიდაუწყებრივი დოკუმენტაცია**. სზაკ-ის 99-ე მუხლი ადგენს ადმინისტრაციული წარმოების მასალის გაცნობის უფლებას. ამ მუხლის პირველი ნაწილის თანახმად ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილე დაინტერესებულ მხარეს უფლება აქვს გაეცნოს ადმინისტრაციული წარმოების მასალებს, გარდა იმ მასალებისა, რომლებიც წარმოადგენს უშუალოდ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მომზადებასთან დაკავშირებულ, შიდაუწყებრივი ხასიათის დოკუმენტაციას. პროექტის ფარგლებში, ინსტიტუტს რეკომენდაციის მიღების მიზნით მომართა მოქალაქემ ერთ-ერთ საჯარო დაწესებულებაში დაკავებულ თანამდებობიდან მისი გათავისუფლების სამართლებრივი ასპექტის გარკვევის მიზნით, რისთვისაც მას სჭირდებოდა ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მომზადებასთან დაკავშირებული კონკრეტული შიდაუწყებრივი დოკუმენტის გაცნობა. დოკუმენტის მისაღებად ინსტიტუტმა ურჩია მოქალაქეს მიემართა სასამართლოსათვის ქმედების განხორციელების მოთხოვნით და მოთხოვნა დაეფუძნებინა სზაკ-ის 99 მე-2 მუხლის მე-2 ნაწილზე - თუ დოკუმენტის გაცნობის ინტერესი აღემატება საიდუმლოების დაცვის ინტერესს, კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში, სასამართლოს გადაწყვეტილებით დაინტერესებულ მხარეს გასაცნობად წარედგინება საქმის ის მასალებიც, რომლებიც შეიცავს პერსონალურ მონაცემებს, სახელმწიფო ან კომერციულ საიდუმლოებას. სხვა შემთხვევაში მსგავსი


³⁴ ხელმისაწვდომია: <http://police.ge/index.php?m=199>

შინაარსის (ადმინისტრაციული წარმოების მასალა) დოკუმენტის ხელმისაწვდომობა შეზღუდულია საქართველოს კანონმდებლობით.

2.2 საჯარო ინფორმაციის ცნების მცდარი განმარტება

პროექტის ფარგლებში საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის პროცესში ინსტიტუტი აგრეთვე წააწყდა დაწესებულებათა მხრიდან საჯარო ინფორმაციის ცნების მცდარი განმარტების რიგ მაგალითებს.

სზაკ-ის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „მ“ ქვეპუნქტის თანახმად საჯარო ინფორმაცია არის ოფიციალური დოკუმენტი (მათ შორის, ნახაზი, მაკეტი, გეგმა, სქემა, ფოტოსურათი, ელექტრონული ინფორმაცია, ვიდეო- და აუდიოჩანაწერები), ანუ საჯარო დაწესებულებაში დაცული, აგრეთვე საჯარო დაწესებულების ან მოსამსახურის მიერ სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით მიღებული, დამუშავებული, შექმნილი ან გაგზავნილი ინფორმაცია, ასევე საჯარო დაწესებულების მიერ პროაქტიულად გამოქვეყნებული ინფორმაცია; (25.05.2012. N6327 ამოქმედდეს 2013 წლის 1 სექტემბრიდან).



ოფიციალური დოკუმენტი ინფორმაცია

- ნებისმიერი ინფორმაცია (მ.შ. ქალაქში გამოსახული)
- ნახაზი
- მაკეტი
- გეგმა
- სქემა
- ფოტოსურათი
- ელექტრონული ინფორმაცია
- ვიდეოჩანაწერი
- აუდიოჩანაწერი

- 1) რომელიც საჯარო დაწესებულებაში დაცულია
- 2) რომელიც დაწესებულებამ ან მოსამსახურემ მიიღო, დაამუშავა, შექმნა ან გააგზავნა სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით

პროაქტიულად გამოქვეყნებული

საჯარო დაწესებულების მიერ ელექტრონულ რესურსზე (ვებ-გვერდზე) განთავსებული ინფორმაცია
2013 წლის 1 სექტემბრიდან

საჯარო ინფორმაციის განმარტებიდან გამომდინარე უპირველეს ყოვლისა ნიშანდობლივია დოკუმენტის აღწერილობითი ელემენტი - „ოფიციალური“. რა ქმნის ამა თუ იმ ინფორმაციას „ოფიციალურად“? არის თუ არა მაგალითად, ოფიციალური დოკუმენტი მედიასაშუალების ოპერატორის კამერაზე არსებული საქართველოს მინისტრის ოფიციალური განცხადების ჩანაწერი, როგორც აუდიო-ვიზუალური ჩანაწერი ანდა მედიასაშუალების არხით გადმოცემული მიმდინარე ტრანსლაცია, როგორც ელექტრონული ინფორმაცია? პასუხი მოქმედი კანონმდებლობით იქნება უარყოფითი, იმისათვის რათა დოკუმენტი გახდეს ოფიციალური იგი უნდა იყოს საჯარო დაწესებულებაში დაცული (მ.შ. მესამე პირისგან მიღებული), აგრეთვე სამსახურეობრივ საქმიანობასთან დაკავშირებით მიღებული, დამუშავებული, შექმნილი ან გაგზავნილი თვით დაწესებულების ან მისი მოსამსახურის მიერ. ამ ერთი შეხედვით მარტივი ლოგიკის მიუხედავად, სსიპ „საზოგადოებრივმა მაუწყებელმა“ მისი გენერალური დირექტორის მოვალეობის შემსრულებელის თანამდებობრივი სარგოს ოდენობის შესახებ ინფორმაციისა და სარგოს განსაზღვრის (დამტკიცების) შესახებ შესაბამისი სამართლებრივი აქტის ასლის გაცემაზე უარი განუცხადა ინსტიტუტს, იმ მოტივით, რომ: *„ინფორმაცია საზოგადოებრივი მაუწყებლის გენერალური დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის შრომის ანაზღაურების ოდენობის შესახებ საჯარო გახდება მას შემდეგ, რაც მის მიერ საჯარო სამსახურის ბიუროში წარდგენილი იქნება თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაცია.“* აღნიშნული პასუხით, საზოგადოებრივმა მაუწყებელმა არ უარყო, რომ მასთან დაცულია მოთხოვნილი ინფორმაცია, არამედ მცდარად დაუკავშირა მისი გასაჯაროება ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის წარდგენას, რითიც შეეწინააღმდეგა ინფორმაციის თავისუფლების ძირეულ პრინციპს: **თუ საჯარო ინფორმაცია დაცულია საჯარო დაწესებულებაში, ის მოთხოვნისამებრ ექვემდებარება გაცემას (თუ რათქმუნდა ის არ შეიცავს დახურულ ინფორმაციას).** ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ ინსტიტუტის ადმინისტრაციული საჩივრის განხილვის შემდგომ, საჯარო დაწესებულებამ გასცა მოთხოვნილი ინფორმაცია.

საჯარო ინფორმაციის ამა თუ იმ დაწესებულებაში დაცულობას ანუ არსებობას ხშირად უკავშირებენ ამ ინფორმაციის სზაკ-ის 35-ე მუხლით გათვალისწინებულ საჯარო რეესტრში შეტანას.³⁵ თუმცა აქვე უნდა ითქვას, რომ აღნიშნული მუხლი მხოლოდ და მხოლოდ ადგენს საჯარო დაწესებულების მიერ ამ დაწესებულებაში არსებული საჯარო ინფორმაციის საჯარო რეესტრში შეტანის ვალდებულებას ანუ სახეზეა ინფორმაციის აღრიცხვის მექანიზმი. სამწუხაროა, საქართველოში საერთო სასამართლოების მიერ დამკვიდრებულია პრაქტიკა, რომლის მიხედვითაც საჯარო დაწესებულებაში არსებული მხოლოდ ის ინფორმაციაა ყველასათვის ხელმისაწვდომი, რომელიც დაწესებულების მიერ საჯარო რეესტრში სავალდებულო სახითაა შეტანილი, ხოლო ის მონაცემები, რომელიც არ იქნა შეტანილი რეესტრში, არ ექვემდებარება გაცემას.³⁶ სასამართლოს აღნიშნულ მოსაზრებას

³⁵ სზაკ-ის 35-ე მუხლი:

საჯარო დაწესებულება ვალდებულია შეიტანოს ამ დაწესებულებაში არსებული საჯარო ინფორმაცია საჯარო რეესტრში. საჯარო რეესტრში შეტანილი უნდა იქნეს საჯარო ინფორმაციაზე მითითება მისი მიღებიდან, შექმნიდან, დამუშავებიდან ან გამოცემიდან 2 დღის ვადაში საჯარო ინფორმაციის დასახელების, მიღების, შექმნის, დამუშავების, გამოცემის თარიღის, იმ ფიზიკური ან იურიდიული პირის, საჯარო მოსამსახურის, საჯარო დაწესებულების დასახელების მითითებით, რომლისგანაც შემოვიდა ან/და ან რომელსაც გაეგზავნა ეს ინფორმაცია.

³⁶ *ჯორბენაძე ს.*, ინფორმაციის თავისუფლება - გზამკვლევი, თბილისი, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი, პირველი გამოცემა, 2012, 39. ხელმისაწვდომია:

<http://www.opendata.ge/userfiles/files/FoI%20guidebook%20IDFI.pdf>

ეწინააღმდეგება მარტივი ლოგიკური მიგნებები: ა) საჯარო დაწესებულებაში ინფორმაციის შექმნა 2 დღით წინ უსწრებს მის საჯარო რეესტრში შეტანას, შესაბამისად აღნიშნული ფაქტი წარმოადგენს იმის საფუძველს, რომ საჯარო ინფორმაცია იქნეს აღრიცხული საჯარო რეესტრში; ბ) კანონმდებლობა ცნებას „საჯარო დაწესებულებაში დაცული“ არ უთანაბრებს ცნებას „საჯარო რეესტრში შეტანილი“; და გ) საჯარო დაწესებულება შეიძლება სამართლებრივი ნორმების საწინააღმდეგოდ არ აწარმოებდეს საჯარო რეესტრს³⁷ ანდა განზრახ არ შეჰქონდეს საჯარო ინფორმაცია საჯარო რეესტრში. აგრეთვე აღსანიშნავია, რომ ინსტიტუტის მიერ წინა წლებში განხორციელებულ პროექტის ფარგლებში საჯარო დაწესებულებებს გაეგზავნათ საჯარო რეესტრების ასლების მოწოდების მოთხოვნა, მიღებული პასუხების ანალიზის შედეგად გამოიკვეთა ზოგადი ტენდენცია, რომ საჯარო დაწესებულებები საერთოდ არ აწარმოებდნენ საჯარო რეესტრებს, რაც შეგვიძლია დავუკავშიროთ პრაქტიკულ პრობლემას - საჯარო რეესტრში შეტანილ უნდა იქნეს ყველა საჯარო ინფორმაციაზე მითითება, რაც შეიძლება საჭიროებდეს უზარმაზარ რესურსს ინფორმაციის სიმრავლის და მისი მიღების, შექმნის, დამუშავების ან გამოცემის სიხშირის გამო.

თუ საჯარო დაწესებულება უარს აცხადებს გასცეს საჯარო ინფორმაცია იმ მოტივით, რომ იგი არ არის შეტანილი საჯარო რეესტრში, ის შეიძლება უბრალოდ აცხადებდეს, რომ მას მოთხოვნილი ინფორმაცია აღურიცხავი აქვს და არა იმას, რომ ინფორმაცია მასთან დაცული არ არის. მოქმედი კანონმდებლობა სამწუხაროდ არ იძლევა საჯარო დაწესებულებაში ინფორმაციის არსებობა/არარსებობის ფაქტის დადგენის ქმედითი კონტროლის საშუალებას, რითიც საჯარო რეესტრში ინფორმაციის აღრიცხვის არსებული მექანიზმი საჭიროდ, თუმცა ფორმალურად გვესახება.

საჯარო დაწესებულებაში ინფორმაციის არსებობა შესაძლებელია დავუკავშიროთ აგრეთვე სზაკ-ის 27-ე მუხლის „ზ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ საჯარო მონაცემთა ბაზის ცნებას, რომელიც წარმოადგენს საჯარო დაწესებულების ან საჯარო მოსამსახურის მიერ სისტემურად შეგროვებულ, დამუშავებულ და შენახულ მონაცემებს. აღსანიშნავია, რომ სზაკ-ის 42-ე მუხლის თანახმად საჯარო დაწესებულების გამგებლობაში არსებული ამ ბაზის სახელწოდება და ადგილსამყოფელი, აგრეთვე საჯარო მონაცემთა ბაზისათვის პასუხისმგებელი პირის ვინაობისა და სამსახურებრივი მისამართის გასაიდუმლოება დაუშვებელია. ნებისმიერ შემთხვევაში ღიაა აგრეთვე საჯარო მონაცემთა ბაზაში არსებულ მონაცემთა შემადგენლობა, წყაროები და იმ პირთა კატეგორია, რომელთა შესახებ გროვდება, მუშავდება და ინახება ინფორმაცია.³⁸ ე.წ. 10 დეკემბრის ანგარიშის ერთ-ერთ ნაწილს, სწორედაც რომ ამ ბაზების შესახებ ინფორმაცია წარმოადგენს.³⁹ ინსტიტუტის აზრით, მეტად მნიშვნელოვანია საჯარო რეესტრის მიმართება საჯარო მონაცემთა ბაზებთან, რა შემთხვევაშიც რეესტრი შესაძლებელია აღქმულ იქნას, როგორც მონაცემთა ბაზაში არსებული ინფორმაციის აღრიცხვის ერთგვარი კატალოგი. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ საჯარო ინფორმაციის

³⁷ იხ. ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 16 ნოემბრის პასუხი ინსტიტუტს, რომელშიც ის აცხადებს, რომ ის არ აწარმოებს საჯარო რეესტრს:

[http://www.opendata.ge/#!lang/ka/cat/text_info/name_array/~იხილეთ+2011+წლის+მონაცემები~ქუთაისის+საქალაქო+სასამართლოს+საჯარო+რეესტრი+\(I-II+კვარტალი\)/id_array/~5908~4122/id/4122/top_floor/ქუთაისის+საქალაქო+სასამართლო+-+საჯარო+რეესტრი~259~22](http://www.opendata.ge/#!lang/ka/cat/text_info/name_array/~იხილეთ+2011+წლის+მონაცემები~ქუთაისის+საქალაქო+სასამართლოს+საჯარო+რეესტრი+(I-II+კვარტალი)/id_array/~5908~4122/id/4122/top_floor/ქუთაისის+საქალაქო+სასამართლო+-+საჯარო+რეესტრი~259~22)

³⁸ სზაკ-ის 42-ე მუხლი, ქვეპუნქტი „მ“.

³⁹ სზაკ-ის 49-ე მუხლი, ქვეპუნქტი „გ“.

არსებობა/არარსებობის საკითხთან მიმართებაში კვლავ ვაწყდებით პრობლემას, როდესაც საჯარო დაწესებულება ან არ ქმნის მონაცემთა ბაზას ან არ აღიარებს მასში ამა თუ იმ მონაცემს შეტანილად ანდა ჯეროვნად არ აწარმოებს საჯარო რეესტრს.

სზაკ-ის 37-ე მუხლის პირველი ნაწილი ადგენს, რომ ყველას აქვს უფლება მოითხოვოს საჯარო ინფორმაცია მისი ფიზიკური ფორმისა და შენახვის მდგომარეობის მიუხედავად. აუდიოჩანაწერი შეიძლება არსებობდეს, როგორც მაგნიტურ ლენტზე, ასევე ელექტრონული ფაილის სახით. თუ ერთიდაიგივე ჩანაწერს დაწესებულება ორივე ფორმით ფლობს, მაშინ დაინტერესებულ პირს წარმოეშობა უფლება აირჩიოს მისი მიღების ფორმა.⁴⁰ აღნიშნული პრაქტიკულ მნიშვნელობასაც ატარებს განმცხადებლისათვის, თუ იგი ინფორმაციას საკუთარ აუდიოკასეტაზე გადაწერს, მას მოუწევს გარკვეული თანხის გადახდა ბიუჯეტში საჯარო ინფორმაციის ასლის მოსაკრებლის სახით, ხოლო თუ მას ინფორმაცია ელექტრონული ფოსტით გაეგზავნება, იგი გათავისუფლდება ამ გადასახადისაგან.⁴¹ სწორედ აღნიშნულ კონტექსტში განიხილავს ინსტიტუტი უფლების დარღვევას, როდესაც საჯარო დაწესებულება ამისამართებს განმცხადებელს ვებ-გვერდზე არსებულ ინფორმაციის სანახავად და უგულებელყოფს მის ნებას მიიღოს მასთან დაცული ინფორმაცია სხვა ფორმით (მაგ. ქსეროასლი, ელექტრონული ფაილი და ა.შ.).⁴²

აღსანიშნავია ამ ინფორმაციის ერთ-ერთი ტიპი - ელექტრონული ინფორმაცია. 2012 წელს სზაკ-ს დამატა 35¹ მუხლი, რომლის თანახმად ადმინისტრაციულ ორგანოებს მიეცათ უფლებამოსილება ნებისმიერი ინფორმაცია ან/და დოკუმენტი მიიღონ და გასცენ საქმისწარმოების მართვის ერთიანი ავტომატური საშუალებებით, თუ დაინტერესებული პირის მიერ არ იქნა არჩეული ინფორმაციის მიღების სხვა ფორმა. ადმინისტრაციულ ორგანოს მიეცა შესაძლებლობა ელექტრონული ასლის სახით შეინახოს და გასცეს თავის მიერ შექმნილი ან თავისთან დაცული ნებისმიერი დოკუმენტი. დოკუმენტის ელექტრონულ ასლსა და მის ამონაბეჭდს მიეცა ისეთივე იურიდიული ძალა, როგორც დოკუმენტის დედანს. აღნიშნულ მუხლთან მჭიდრო კავშირშია სზაკ-ის 37-ე მუხლზე დამატებული მე-3 ნაწილი,⁴³ რომელიც ძალაში შევა 2013 წლის 1 სექტემბრიდან. ამ დამატების თანახმად, საჯარო ინფორმაციის მოთხოვნა შესაძლებელია ელექტრონული ფორმით, საჯარო დაწესებულების ელექტრონული რესურსების საშუალებით.

პროექტის განხორციელებისას, ინსტიტუტმა გამოავლინა საინტერესო ტენდენცია ელექტრონულ საჯარო ინფორმაციასთან მიმართებაში. უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ საჯარო დაწესებულებები საკმაოდ ხშირად იყენებენ ელ.ფოსტას მოთხოვნილი ინფორმაციის ელექტრონული ასლის სახით მოწოდებისათვის. რაც შეეხება ელექტრონული ინფორმაციის საჯარო დაწესებულებათა ელ. რესურსების საშუალებით გამოთხოვნას, მიუხედავად იმისა, რომ განმცხადებლისათვის აღნიშნული საშუალების უზრუნველყოფის ვალდებულება საჯარო დაწესებულებებს 2013 წლის სექტემბრიდან წარმოეშობათ, სზაკ-ის 35¹ მუხლით დადგენილ უფლებამოსილების ფარგლებში რიგი დაწესებულებები უკვე იყენებენ ამგვარ საშუალებას. მაგალითად, საჯარო სამართლის იურიდიულ

⁴⁰ სზაკ-ის 37-ე მუხლის პირველი ნაწილი.

⁴¹ საქართველოს კანონი „საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლის შესახებ“, მუხ. 6, ქვეპუნქტი „ვ“ და მუხ. 7, ქვე-პუნქტი „ბ“.

⁴² იხ. ამავე ანგარიშის გვ. 9

⁴³ ინსტიტუტს აქვს მიღებული აქტიური მონაწილეობა სზაკ-ის უკლებლივ ყველა იმ ცვლილება-დამატებათა შემუშავების პროცესში, რომლებიც შეეხება ადმინისტრაციულ ორგანოთა ვებ-გვერდების გამჭვირვალობას და ამოქმედდება 2013 წლის, 1 სექტემბრიდან.

პირს - შემოსავლების სამსახურს გააჩნია თავისი ოფიციალური ვებ-გვერდის მეშვეობით საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის საშუალება და შესაბამისი განცხადების ასატვირთი ფორმა,⁴⁴ თუმცა საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის შინაარსი შემოსავლურულია ერთი სფეროთი - სათამაშო ბიზნესი. დაახლოებით ერთი წელია რაც საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ, დაინტერესებულ პირთათვის საქართველოს სასამართლოებიდან საჯარო ინფორმაციის გამოთხოვნის მიზნით შექმნა და ინტერნეტში ხელმისაწვდომი გახადა სპეციალური პროგრამა,⁴⁵ რომლის მეშვეობითაც საბჭოდან, სააპელაციო სასამართლოებიდან და რაიონული/საქალაქო სასამართლოდან შესაძლებელია სკანირებული ელექტრონული განცხადების ფორმის მეშვეობით სასამართლო პრაქტიკისა და სტატისტიკის შესახებ საჯარო ინფორმაციის მოთხოვნა. სწორედ აღნიშნული პროგრამის მეშვეობით მიმართა პროექტის ფარგლებში ინსტიტუტმა თბილისის, ქუთაისისა და ბათუმის საქალაქო სასამართლოებს კონკრეტული საჯარო ინფორმაციის მოთხოვნით. მართალია, სამწუხაროდ მხოლოდ ბათუმის საქალაქო სასამართლომ მოახდინა პასუხზე რეაგირება, თუმცა დანარჩენი ორი სასამართლოს უმოქმედობა აიხსნებოდა არა პროგრამის გაუმართაობით, არამედ მათ მიერ მოთხოვნებზე პასუხის გაცემის მიზანმიმართული იგნორირებით. ელ. რესურსების საშუალებით ინფორმაციის გამოთხოვნისას ინსტიტუტი ძალზედ საინტერესო პრეცედენტს წააწყდა სსიპ ქ. თბილისის მერიის „ქონების მართვის სააგენტოსთვის“ კონკრეტული აუქციონის შესახებ ინფორმაციის მოთხოვნის პროცესში - საჯარო დაწესებულებამ წერილობითი ფორმით განცხადება არ ჩაიბარა და მოითხოვა მისი ელექტრონული ფორმით ჩაბარება, რითიც ფაქტიურად უგულებელყო განცხადების წარდგენის სზაკ-ით დადგენილი ნორმა.⁴⁶ ამასთან, აღსანიშნავია რომ ინსტიტუტის მიერ მოთხოვნის ელექტრონული ფორმის გაგზავნის შემდგომ მიღებულ იქნა უარი, ასევე ელექტრონული ფორმით. შეიძლება ითქვას, მოცემულ მაგალითზე სახეზეა ქონების მართვის სააგენტოს მიერ საკუთარი ელ.რესურსით⁴⁷ საჯარო ინფორმაციის მოთხოვნა-გაცემის პროცესის არამართლობიერი შეზღუდვა, რაც აგრეთვე არღვევს საჯარო ინფორმაციის მიღების ფორმის არჩევის უფლებასაც.

საჯარო ინფორმაციის ცნების მცდარი განმარტება ყველაზე ხშირად დაკავშირებულია სზაკ-ის მე-40 მუხლში მოცემულ ნორმასთან, რომლის თანახმად საჯარო დაწესებულება ვალდებულია გასცეს საჯარო ინფორმაცია არაუგვიანეს 10 დღისა, თუ საჯარო ინფორმაციის მოთხოვნაზე პასუხის გაცემა მოითხოვს მნიშვნელოვანი მოცულობის ერთმანეთთან დაუკავშირებელი ცალკეული დოკუმენტების მოძიებასა და დამუშავებას. საჯარო დაწესებულება ვალდებულია აღნიშნულის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობოს საჯარო ინფორმაციის მომთხოვნს. განმცხადებლისათვის მნიშვნელოვანს და საინტერესოს შეიძლება წარმოადგენდეს შემდეგი საკითხები: რა იგულისხმება ზოგადად დოკუმენტების დამუშავებაში და გულისხმობს თუ არა დამუშავება, საჯარო დაწესებულების ვალდებულებას შექმნას საჯარო ინფორმაცია. მიდგომა ორაზროვანია - საჯარო დაწესებულებათა და მოსამართლეთა ნაწილის მოსაზრების თანახმად, გარკვეული დოკუმენტების შეგროვება უნდა მოხდეს მათი მექანიკური თავმოყრის გზით (ერთად თავმოყრა, კლასიფიკაცია, სისტემატიზაცია, აკინძვა) და არა მონაცემების ლოგიკური სინთეზით (ახალი დოკუმენტის შექმნა).⁴⁸ დამატებით

⁴⁴ ხელმისაწვდომია: http://rs.ge/Default.aspx?sec_id=4507&lang=1&appmaincatid=9&appcatid=51

⁴⁵ ხელმისაწვდომია: <http://service.court.ge/public/>

⁴⁶ სზაკ-ის 37-ე მუხლი, ნაწილი 2.

⁴⁷ <http://auction.tbilisi.gov.ge/>

⁴⁸ ჯორბენაძე ს., ინფორმაციის თავისუფლება - გზამკვლევი, თბილისი, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი, პირველი გამოცემა, 2012, გვ. 48-49. ხელმისაწვდომია: <http://www.opendata.ge/userfiles/files/FoI%20guidebook%20IDFI.pdf>

არსებობს „ინფორმაციის ერთიანი სახელმწიფო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლზე დაყრდნობით არსებული მოსაზრება, რომლის თანახმადაც რეესტრის სუბიექტს უფლება აქვს, მის მიერ წარმოებულ მონაცემთა ბაზაში, რეესტრში, ინფორმაციულ სისტემასა და მომსახურების გაწევის პროცესში შეაგროვოს (დაამუშაოს) მხოლოდ ისეთი მონაცემები, რომლებიც აუცილებელია შესაბამისი ნორმატიული აქტით გათვალისწინებული ფუნქციის შესასრულებლად, ან მხოლოდ მაშინ, თუ მონაცემების ამგვარი დამუშავება უშუალოდ გათვალისწინებულია ნორმატიული აქტით.⁴⁹ აღსანიშნავია, რომ ამავე კანონის მე-2 მუხლის „გ“ ქვეპუნქტი მარტავს ტერმინს „მონაცემთა დამუშავება“, როგორც „მონაცემის შეგროვება, ჩაწერა, ორგანიზება, შენახვა, შეცვლა, ნახვა, ამოღება, გამოყენება, გადაცემა, კომბინირება, დახურვა, წაშლა ან განადგურება, ან ამ ქმედებების ნებისმიერი ერთობლიობა, ქმედების განხორციელების ან გამოყენებული საშუალების მიუხედავად“. მე-10 მუხლზე დაყრდნობით არსებული მოსაზრების ავტორები უგულებელყოფენ ორი მნიშვნელოვანი შესაძლებლობის არსებობას: 1) მონაცემთა ბაზაში ამ მონაცემების „დამუშავებაში“ შეიძლება იგულისხმებოდეს მათი ბაზიდან საჯარო ინფორმაციის სახით გაცემაც; 2) არ არსებობს საჯარო დაწესებულება, რომლის ფუნქციებშიც არ შედის საჯარო ინფორმაციის გაცემა, ხოლო საჯარო დაწესებულებათა მიერ მონაცემთა მოძიება და დამუშავება პირდაპირ გათვალისწინებულია სზაკ-ის მე-40 მუხლის პირველი ნაწილით. თუ მე-10 მუხლის მოქმედებას შემოვარგლავთ მხოლოდ მონაცემთა შეგროვებით, მაშინ აზრს კარგავს მცდარი მოსაზრების ავტორთა ლოგიკაც, ვინაიდან სახეზეა არა მოსაზრება, რომ კონკრეტული მონაცემი არ იყო ბაზაში, არამედ ის, რომ ზოგადად მონაცემი არ უნდა დამუშავებულიყო თუ ამგვარი დამუშავება პირდაპირ არ შედიოდა ამა თუ იმ დაწესებულების დეტალურად გაწერილ ფუნქციებში.

ინსტიტუტის აზრით, დოკუმენტის დამუშავებაში იგულისხმება სწორედაც რომ მათში ასახული მონაცემების დამუშავება. წინააღმდეგ შემთხვევაში საჯარო დაწესებულების ვალდებულება მხოლოდ მექანიკური ქსეროკოპირებით შემოიფარგლება. მოვიყვანოთ ამ მიდგომის ჰიპოტეტური მაგალითი - საჯარო დაწესებულებაში დაცულია X პერიოდის მანძილზე გამართული მთავრობის ყველა სხდომის ოქმი. განმცხადებელი მიმართავს საჯარო დაწესებულებას მოთხოვნით გასცეს მასზე ინფორმაცია იმის თაობაზე, თუ რამდენ სხდომაში არ აქვს მიღებული მონაწილეობა ფინანსთა მინისტრს X პერიოდში. საჯარო დაწესებულება უარს აცხადებს ინფორმაციის გაცემაზე, რადგან მართალია არსებობს ამგვარი მონაცემთა დამუშავების შესაძლებლობა, თუმცა აღნიშნული გულისხმობს ახალი დოკუმენტის შექმნას, რისი ვალდებულებაც მისი აზრით მას არ გააჩნია. ამასთან ის განმცხადებელს არც ხსენებულ ოქმების ქსეროკოპირებს აწვდის, რათა მან თვითონ მოახდინოს მისთვის საინტერესო ინფორმაციის ამოკრეფა. სწორედ ამგვარი მიდგომა მოდის წინააღმდეგობაში ხელისუფლების გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების, ისევე როგორც საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის პრინციპებთან.

ამკარაა, რომ სზაკ-ის მე-40 მუხლში მოყვანილი საჯარო ინფორმაციის მოწოდების დამატებით 10 დღიანი ვადის აღება განპირობებულია ორ ეტაპით - ინფორმაციის მოძიებითა და დამუშავებით. **ინსტიტუტი არ ეთანხმება მოსაზრებას, რომ ინფორმაციის დამუშავება იგივეა რაც ახალი დოკუმენტის შექმნა.** ახალი დოკუმენტის შექმნის ცნება ფაქტიურად ტოლფასია არარსებული საჯარო ინფორმაციის შექმნისა, მაგალითად - საჯარო დაწესებულებისათვის დოკუმენტის თარგმნის მოთხოვნა, არსებული მონაცემების საფუძველზე კვლევის შექმნის დავალდებულება, თანამდებობის პირისათვის ინტერვიუს ჩამორთმევის მოთხოვნა და ა.შ. ამ შემთხვევაში სახეზე ვერ იქნება მოძიების

⁴⁹ იხ. <http://www.opendata.ge/userfiles/files/ganchinebaaaa.pdf>

ეტაპი და ამავე დროს, შესაძლებელია წაავწყდეთ ინტელექტუალურ-შემოქმედებითი საქმიანობის გამოვლინებას. აღნიშნულის საწინააღმდეგოდ, საჯარო დაწესებულებაში მოძიებადი დოკუმენტიდან მონაცემების/ჩანაწერების ორიგინალური სახით ამოკრეფა, გამოცალკევება ან დაჯამება არ გულისხმობს ახალი საჯარო ინფორმაციის შექმნას, და საჭიროებს სავსებით გონივრულ ვადას - 10 დღეს (შაბათ-კვირისა და უქმე დღეების გარდა⁵⁰). ამ ლოგიკას ადასტურებს, პროექტის ფარგლებში 175 საჯარო დაწესებულებისათვის ინსტიტუტის მიერ მოთხოვნილი დასაქმებულ თანამშრომელთა შესახებ ინფორმაცია გენდერულ ჭრილში 13 პუნქტად, რა მოთხოვნაც საჯარო დაწესებულებების უმეტესობამ დააკმაყოფილა. ამასთან, საგულისხმოა მოთხოვნის მე-10 და მე-11 პუნქტებზე საჯარო ინფორმაციის მოწოდების პრაქტიკა - *დასაქმებულთა საშუალო ასაკი გენდერულ ჭრილში და დასაქმებულთა შორის 3 და მეტი შვილის მშობელთა რაოდენობა გენდერულ ჭრილში (მამაკაცთა და ქალთა რაოდენობა)*. ნაკლებად სავარაუდოა, რომ აღნიშნული ინფორმაცია მზა სახით გააჩნდათ საჯარო დაწესებულებებს თავიანთ მონაცემთა ბაზებში, შესაბამისად მათ მიერ კონკრეტული ინფორმაცია მოძებნულ და შემდგომ დამშავებულ იქნა პასუხის გაცემის მიზნებისათვის.

აღნიშნულის ფონზე საინტერესოა ბათუმის საქალაქო სასამართლოს პასუხი ინსტიტუტის მოთხოვნაზე გაეცა ამავე სასამართლოს მიერ სატელეფონო საუბრების ფარული მიყურადებისა და ჩაწერის კანონიერად/უკანონოდ ცნობის ფაქტებისა და ამ ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების ჩატარების ნებართვათა გაცემის რაოდენობის შესახებ ინფორმაცია. სასამართლომ განაცხადა, რომ მას არ გააჩნია მოთხოვნილი ინფორმაცია, იმ მოტივით, რომ მოთხოვნილი ინფორმაციის მოძიებისათვის საჭირო იყო საქმეების სიტუმატიზაცია და საარქივო დამუშავება, რაც მოითხოვდა დიდ დროს. ამასთან, მოთხოვნილი ტიპის საქმეების დამუშავება და ამ მიზნით ადმინისტრაციული რესურსის მობილიზება არ წარმოადგენდა სასამართლოს საქმიანობისათვის აუცილებელ საჭიროებას, ხოლო სასამართლო დაკავებული იყო მისთვის კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების განხორციელებით. **აღნიშნული პასუხით, სასამართლომ არამართო უარჰყო ინფორმაციის დამუშავების შესაძლებლობა, არამედ დამუშავების პროცესის წინა ეტაპის - მოთხოვნილი ინფორმაციის მოძიებადობის შესაძლებლობაც გამორიცხა, რაც ვერ იქნება აღქმული გონივრულად - ნაკლებად სავარაუდოა, რომ სამართლებრივი აქტები, რომელთა რაოდენობის შესახებ მოთხოვნილ იქნა ინფორმაცია, არ ყოფილიყო დაცული სასამართლოში ან/და არ ყოფილიყო შეტანილი რეესტრში, ამასთან საჯარო ინფორმაციის გაცემის ვალდებულება ვერ იქნება აღქმული კონკრეტული სასამართლოს ფუნქციების გარეთ მყოფად.**⁵¹

ანალოგიურ მოთხოვნებზე სრული იგნორირება მოახდინა აგრეთვე ქუთაისის საქალაქო სასამართლომ, რის შედეგადაც ინსტიტუტმა სარჩელი შეიტანა ამავე სასამართლოში. სარჩელი არ იქნა დაკმაყოფილებული.⁵² სასამართლოს აზრით განმცხადებელზე გასაცემ საჯარო ინფორმაციას განეკუთვნება მხოლოდ ის ინფორმაცია, რომელიც სზაკ-ის 35-ე მუხლის შესაბამისად

⁵⁰ სზაკ-ის მე-15 მუხლი:

ამ კოდექსში მითითებული ვადების ათვლისას საქართველოს შრომის კანონმდებლობით დადგენილი უქმე და დასვენების დღეები არ ჩაითვლება.

⁵¹ საქართველოს კანონი „ინფორმაციის ერთიანი სახელმწიფო რეესტრის შესახებ.“ მუხლი 2, ქვეპუნქტი „გ“.

მონაცემის დამუშავება – მონაცემის შეგროვება, ჩაწერა, ორგანიზება, შენახვა, შეცვლა, ნახვა, ამოღება, გამოყენება, გადაცემა, კომბინირება, დახურვა, წაშლა ან განადგურება, ან ამ ქმედებების ნებისმიერი ერთობლიობა, ქმედების განხორციელების ან გამოყენებული საშუალების მიუხედავად.

⁵² იხ. 2013 წლის 13 მარტის 3/24 287 გადაწყვეტილება შემდეგ ბმულზე

[http://www.opendata.ge/userfiles/files/gadawyvetileba\(1\).pdf](http://www.opendata.ge/userfiles/files/gadawyvetileba(1).pdf)

დაწესებულების მიერ სავალდებულო წესით შეიტანება საჯარო ინფორმაციის საჯარო რეესტრში, ხოლო ინფორმაციის გაცემა უნდა შეესაბამებოდეს გონივრულობას და მოთხოვნილი დაუმუშავებელი ინფორმაციის რაოდენობა პროპროციული უნდა იყოს ადმინისტრაციული ორგანოს ადამიანურ რესურსთან. სასამართლომ მიიჩნია ინსტიტუტის მოთხოვნა არაგონივრულად, რადგან ამ მოთხოვნის შესრულებისათვის აუცილებლობას წარმოადგენდა სასამართლოს არქივში და სასამართლო კანცელარიაში არსებული საქმეების მოძიება და დამუშავება, მათი აღრიცხვა და სისტემატიზაცია, შესაბამისი ნუსხის შედგენა. იქვე საუბარია საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობაზე პასუხისმგებელი პირის მიერ დიდი მოცულობის სამუშაოს შესრულების შეუძლებლობასა და სამუშაო ჯგუფის შექმნის საჭიროებაზე, რაც სასამართლოს ფუნქციონირებას ხელს შეუშლიდა და გამოიწვევდა იმ მოქალაქეთა კანონიერ უფლებების დარღვევას, რომლებმაც მიმართეს სასამართლოს. სწორედაც, რომ აღნიშნული მსჯელობაა, ინსტიტუტის აზრით, საჯარო ინფორმაციის ცნების მცდარი განმარტება.

საჯარო ინფორმაციის ცნებასთან დაკავშირებული პრობლემატური პრაქტიკიდან გამომდინარე, ინსტიტუტს მიაჩნია შემდეგი:

- ✓ საჯარო დაწესებულებაში არსებული ნებისმიერი საჯარო ინფორმაცია მოთხოვნისამებრ უნდა გაიცეს, თუ ის არ შეიცავს დახურულ ინფორმაციას;
- ✓ საჯარო მონაცემთა ბაზის არარსებობა ან საჯარო რეესტრში ინფორმაციის აღურიცხაობა არ უნდა აბრკოლებდეს ამ ინფორმაციის გაცემის პროცესს, თუ იგი არსებობს საჯარო დაწესებულებაში;
- ✓ საჯარო ინფორმაციის დამუშავების შესაძლებლობა გათვალისწინებულია კანონით, და ის შეიძლება გულისხმობდეს არამარტო დოკუმენტების ერთად თავმოყრას, არამედ დოკუმენტებიდან მონაცემების/ჩანაწერების ამოკრეფას, გამოცალკევებას ანდა დაჯამებას;
- ✓ მაშინაც კი, როდესაც საჯარო დაწესებულებას მიაჩნია, რომ მოთხოვნილი ინფორმაციის დამუშავება მისი ვალდებულება არაა, მან უნდა მოიძიოს ყველა ის დოკუმენტი, რომელიც შეიძლება ეხმაურებოდეს მოთხოვნას და წარუდგინოს მათი ასლები განმცხადებელს, დამუშავებაზე მოტივირებულ უართან ერთად.
- ✓ სასურველია სზაკ-ში დაკონკრეტდეს საჯარო ინფორმაციის ტერმინის განმარტება - „ოფიციალური დოკუმენტი (მათ შორის, დოკუმენტის ნაწილი, ნახაზი, მაკეტი, გეგმა, სქემა, ფოტოსურათი, ელექტრონული ინფორმაცია, ვიდეო- და აუდიოჩანაწერები);
- ✓ საჯარო რეესტრში შეტანილი უნდა იქნეს საჯარო ინფორმაციაზე მითითება მისი დამუშავებიდან (ამოკრეფიდან, გამოცალკევებიდან, დაჯამებიდან) 2 დღის ვადაში საჯარო ინფორმაციის დამუშავების თარიღის და იმ ფიზიკური ან იურიდიული პირის დასახელების მითითებით რომელსაც გაეგზავნა ეს ინფორმაცია;
- ✓ საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირის მიერ დიდი მოცულობის სამუშაოს შესრულების შეუძლებლობა, მოთხოვნილი ინფორმაციის რაოდენობის პროპორციულობა ადმინისტრაციული ორგანოს ადამიანურ რესურსთან ან/და ინფორმაციის გაცემის გონივრულობა არ წარმოადგენს საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის სამართლებრივ საფუძველს. სწორედაც, რომ აღნიშნული, და არა ქსეროქსის ოპერატორის, ფუნქციებით აღჭურვავეს ადმინისტრაციული სამართალი საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ საჯარო მოსამსახურეს.

2.3 საჯარო დაწესებულებებში გაგზავნილი შეკითხვები

პროექტის ფარგლებში ინსტიტუტმა საჯარო დაწესებულებებს გაუგზავნა სტანდარტული შინაარსის კითხვები (საჯარო ინფორმაციის მოთხოვნები). სხვადასხვა საჯარო დაწესებულებებს ხსენებული კითხვები სხვადასხვა ვარიაციით გაეგზავნათ. ამასთან, რიგ საჯარო დაწესებულებებს გაეგზავნათ კითხვები კონკრეტულ საკითხებზეც. მეტი სიცხადისათვის წარმოგიდგენთ კონკრეტულად გაგზავნილ შეკითხვებს.

სტანდარტული შინაარსის შეკითხვები

1. მოქმედი საშტატო ნუსხა თითოეული პოზიციის თანამდებობრივი სარგოს მითითებით;
2. საჯარო დაწესებულების თანამდებობის პირებზე (ცალ-ცალკე) და თანამშრომლებზე (საერთო ოდენობა) დარიცხული პრემიების ოდენობის შესახებ ინფორმაცია თვეების მიხედვით;
3. თანამშრომლებზე (სახელის და გვარის მითითებით ცალ-ცალკე) დარიცხული სახელფასო დანამატების ოდენობის შესახებ ინფორმაცია;
4. ბიუჯეტის შესრულების ანგარიში (ბალანსი);
5. სახელმწიფო ბიუჯეტიდან „სხვა ხარჯებისათვის“ გამოყოფილი თანხების ხარჯთაღრიცხვა;
6. სარეზერვო ფონდებიდან გამოყოფილი თანხების ხარჯთაღრიცხვა.
7. საჯარო დაწესებულების მიერ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 49-ე მუხლის შესაბამისად, საქართველოს პრეზიდენტისა და პარლამენტისათვის წარდგენილი საჯარო ინფორმაციის ანგარიში (ე.წ. 10 დეკემბრის ანგარიში);
8. საჯარო დაწესებულების მიერ შეძენილი ავტოსატრანსპორტო საშუალებების ჩამონათვალი, ავტოსატრანსპორტო საშუალების მარკის, შესყიდვის ფასის და გამოშვების წელის მითითებით;
9. საჯარო დაწესებულების მიერ საწვავის მოხმარებაზე გაწეული ფაქტობრივი ხარჯი;
10. საჯარო დაწესებულების სისტემიდან საკუთარი განცხადების საფუძველზე განთავისუფლებულ თანამშრომელთა რაოდენობის შესახებ ინფორმაცია;
11. საჯარო დაწესებულების სისტემიდან ხელმძღვანელობის მიერ განთავისუფლებულ თანამშრომელთა რაოდენობის შესახებ ინფორმაცია;
12. საჯარო დაწესებულების ხელმძღვანელის ქვეყნის გარეთ და ქვეყნის შიგნით (ცალ-ცალკე) განხორციელებულ ოფიციალურ და სამუშაო ვიზიტებზე გაწეული სამივლინებო ხარჯების შესახებ ინფორმაცია;
13. საჯარო დაწესებულების ხელმძღვანელის მიერ გამოცემული სამართლებრივი აქტების (ბრძანებების) ასლები;

14. საჯარო დაწესებულების მიერ განხორციელებული სოციალური და კულტურული ღონისძიებების ჩამონათვალი და ხარჯთაღრიცხვა;
15. საჯარო დაწესებულებაში არსებული იმ თანამდებობების ჩამონათვალი, რომელთა პოზიციებზე გამოცხადებული იქნა კონკურსი;
16. საჯარო დაწესებულებაში არსებული იმ თანამდებობების ჩამონათვალი, რომელთა პოზიციებზე პირები დაინიშნენ კონკურსის გარეშე;
17. საჯარო დაწესებულებაში არსებული იმ თანამდებობების ჩამონათვალი, რომელთა პოზიციებზე დაინიშნენ დროებით მოვალეობის შემსრულებლები;
18. საჯარო დაწესებულების ადმინისტრაციაში დანიშნული თანამდებობის პირების (მინისტრი, მინისტრის პირველი და სხვა მოადგილეები, დეპარტამენტის უფროსები და მათი მოადგილეები) ბიოგრაფიული მონაცემები (CV);
19. განხორციელებული შიდა აუდიტის-რევიზიების დასკვნები;
20. განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების (გამოცხადებული ტენდერები, კონკურსები და სხვა სახის სახელმწიფო შესყიდვები) ამომწურავი ჩამონათვალი (სია) და თითოეულ მათგანზე გახარჯული თანხის ოდენობა.

პროექტის ფარგლებში ინსტიტუტმა აგრეთვე მიმართა 175 საჯარო დაწესებულებას დასაქმებულ თანამშრომელთა შესახებ გენდერულ ჭრილში ინფორმაციის მოწოდების მოთხოვნით. განცხადება მოიცავდა შემდეგ შეკითხვებს:

გენდერულ ბალანსთან დაკავშირებული შეკითხვები

1. დასაქმებულ თანამშრომელთა რაოდენობა გენდერულ ჭრილში (მამაკაცთა და ქალთა რაოდენობა);
2. ხელმძღვანელ პოზიციებზე (განყოფილების უფროსი და ზემოთ) დასაქმებულთა რაოდენობა გენდერულ ჭრილში (მამაკაცთა და ქალთა რაოდენობა);
3. ხელმძღვანელობის მიერ განთავისუფლებულ თანამშრომელთა რაოდენობა გენდერულ ჭრილში (მამაკაცთა და ქალთა რაოდენობა);
4. ხელმძღვანელობის მხრიდან ხელმძღვანელ პოზიციებიდან (განყოფილების უფროსი და ზემოთ) განთავისუფლებულ თანამშრომლების რაოდენობა გენდერულ ჭრილში (მამაკაცთა და ქალთა რაოდენობა);
5. პირადი განცხადების საფუძველზე განთავისუფლებულ თანამშრომელთა რაოდენობა გენდერულ ჭრილში (მამაკაცთა და ქალთა რაოდენობა);
6. ხელმძღვანელი პოზიციებიდან (განყოფილების უფროსი და ზემოთ) პირადი განცხადების საფუძველზე განთავისუფლებულ თანამშრომლების რაოდენობა გენდერულ ჭრილში (მამაკაცთა და ქალთა რაოდენობა);

7. რამდენმა თანამშრომელმა ისარგებლა უხელფასო შვებულებით გენდერულ ჭრილში (მამაკაცთა და ქალთა რაოდენობა);
8. რამდენმა თანამშრომელმა ისარგებლა ანაზღაურებადი დეკრეტული შვებულებით გენდერულ ჭრილში (მამაკაცთა და ქალთა რაოდენობა);
9. რამდენმა თანამშრომელმა ისარგებლა აუნაზღაურებადი დეკრეტული შვებულებით გენდერულ ჭრილში (მამაკაცთა და ქალთა რაოდენობა);
10. დასაქმებულთა საშუალო ასაკი გენდერულ ჭრილში;
11. დასაქმებულთა შორის 3 და მეტი შვილის მშობელთა რაოდენობა გენდერულ ჭრილში (მამაკაცთა და ქალთა რაოდენობა);
12. 2008-2013 წლებში დათხოვნილ/გათავისუფლებულ თანამშრომელთა მიერ (მამაკაცთა და ქალთა რაოდენობის მითითებით) შემოტანილ ადმინისტრაციულ საჩივრების რაოდენობა;
13. დათხოვნილ/გათავისუფლებულ თანამშრომელთა მიერ (მამაკაცთა და ქალთა რაოდენობის მითითებით) შემოტანილ ადმინისტრაციულ საჩივრებზე მათ სასარგებლოდ გამოტანილი გადაწყვეტილებების რაოდენობა (2008-2013 წლები).

პროექტის განხორციელების პერიოდში გამოვლენილი მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის გათვალისწინებით სხვადასხვა საჯარო დაწესებულებებს დამატებით გაეგზავნათ აგრეთვე მოთხოვნები კონკრეტული საკითხების შესახებ, რომლებიც უშუალოდ მათ საქმიანობის სფეროს შეეხებოდა. მაგალითად მოვიყვანთ რამოდენიმე მათგანს:

განსხვავებული შეკითხვები

- ბაგრატის ტაძრის რეკონსტრუქციის დამტკიცებული პროექტის ასლი;
- საქართველოს მთავარი პროკურატურის მიერ ამომრჩეველთა მოსყიდვის ბრალდებით დაკავებულ პირთა რაოდენობის შესახებ ინფორმაცია;
- ინფორმაცია შსს საპატრულო დეპარტამენტის მიერ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა გამო დაკისრებულ ჯარიმათა საერთო ოდენობის (ლარებში) შესახებ;
- საქართველოს ოლიმპიური გუნდის წევრ ოქროს, ვერცხლის და ბრინჯაოს მედალოსან სპორტსმენებისათვის 2012 წლის ზაფხულის ლონდონის ოლიმპიადაზე სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული თანხის შესახებ ინფორმაცია;
- ქალაქ „ლაზიკის“ მშენებლობის პროექტის გეგმის ან პროექტის სტრატეგიული განვითარების ამსახველი დოკუმენტის ასლი;
- ინფორმაცია ქალაქ ქუთაისში საქართველოს პარლამენტის მშენებლობისთვის გამოყოფილი თანხების სრული ოდენობის შესახებ და შესაბამისი სამართლებრივი აქტების ასლები;
- თბილისის მერიასა და შპს „სი-ტი პარკს“ შორის გაფორმებული ყველა ხელშეკრულების ასლი.

- შპს „თბილსერვის ჯგუფის“ ანგარიშზე დასუფთავების მოსაკრებლის სახით ჩარიცხული თანხის ოდენობის შესახებ ინფორმაცია, ქ. თბილისის მერიასა და შპს „თბილსერვის ჯგუფს“ შორის გაფორმებული ხელშეკრულებების ასლები, შპს „თბილსერვის ჯგუფის“ მოქმედი წესდება და შპს „თბილსერვის ჯგუფის“ მიერ ქ. თბილისის მერიისათვის მიწოდებული განხორციელებული საქმიანობის ანგარიშები (მოხსენებები);
- პატიმართა რაოდენობის შესახებ ინფორმაცია, რომლებიც 2008 წლის პირველი იანვრიდან დღემდე გადაყვანილ იქნენ გლდანის №8 დაწესებულებიდან №18 მსჯავრდებულთა და ბრალდებულთა სამკურნალო დაწესებულებაში და №18 მსჯავრდებულთა და ბრალდებულთა სამკურნალო დაწესებულებაში გარდაცვლილ ამ პატიმართა რაოდენობის შესახებ ინფორმაცია;
- შპს „ქეი 1“ -ის და შპს „ტელეკომპანია პიკ“-ის მიერ საზოგადოებრივი მაუწყებლისათვის წარდგენილი მესამე არხის (პირველი კავკასიურის) საქმიანობასთან დაკავშირებული სრული კვარტალური ანგარიშები (თანდართული შესაბამისი დოკუმენტაციით) მათ მიერ განხორციელებული საქმიანობის შესახებ თანხების ხარჯვა, განხორციელებული შესყიდვები და ა.შ.);
- ავღანეთის სამშვიდობო მისიაში მონაწილეობისას დაჭრილ ქართველ სამხედრო მოსამსახურეთა რაოდენობა;
- საქართველოს პრეზიდენტის გადაწყვეტილების საფუძველზე პირდაპირი მიყიდვის წესით, 1 (ერთ) ლარად, გასხვისებული სახელმწიფო ქონების ამომწურავი ჩამონათვალი და შესაბამისი სამართლებრივი აქტები (იმ პირთა მითითებით, ვისზეც გასხვისდა 1 (ერთ) ლარად სასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწები);
- საქალაქო სასამართლოებისათვის „სატელეფონო საუბრების ფარული მიყურადება და ჩაწერის“ შესახებ შუამდგომლობით მიმართვათა რაოდენობის, ამ შუამდგომლობათა სასამართლოს მიერ დაკმაყოფილების რაოდენობის და მოსამართლის სანქციის გარეშე განხორციელებულ ამ ტიპის ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებათა კანონიერად და უკანონოდ ცნობის რაოდენობათა შესახებ ინფორმაცია;
- პროექტების „ვერის უბნის მელოდიები“, „საქართველო ოკუპანტების გარეშე“ განხორციელების და ქ. ახალციხეში შარლ აზნაურის კონცერტის ჩატარების ხარჯთაღრიცხვა;
- საპროცესო შეთანხმებების შედეგად სახელმწიფო ბიუჯეტში შესული თანხების ოდენობის შესახებ ინფორმაცია და რა ოდენობის თანხებზე იქნა გაფორმებული საპროცესო შეთანხმებები;
- იმ პირთა რაოდენობის შესახებ ინფორმაცია, რომელთა ქონება ჩამორთმეულ და გადაცემულ იქნა სახელმწიფოსათვის და ამ ქონების საერთო ღირებულება წლების მიხედვით;
- საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსთვის კერძო სამართლის იურიდიული პირების წილების საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის (ჩუქების) ხელშეკრულებების ასლები;

- საქართველოში რეგისტრირებული დანაშაულის სტატისტიკური მონაცემები (თვეების და მუხლების მიხედვით).

პროექტის ფარგლებში ინსტიტუტი ითხოვდა მოსახლეობისაგან საკუთარი მოსაზრებების გაზიარებას იმ თემებისა და საკითხების შესახებ, რომელთა საჯარო დაწესებულებებიდან დამატებით გამოთხოვნაც საინტერესო იქნებოდა. ქვემოთ მოყვანილია პროექტის ფარგლებში შექმნილი ანალიტიკური ბლოგის „Opendata Blog“ განყოფილების - „გამოითხოვეთ საჯარო ინფორმაცია“ გამოყენებით, ასევე ინსტიტუტის ელ-ფოსტაზე (info@idfi.ge) და Facebook გვერდზე შემოსული შეკითხვები:⁵³

მოსახლეობის მიერ IDFI-ის მეშვეობით მოთხოვნილი საჯარო ინფორმაცია

- თბილისის მერიასა და კომპანია „ჯეოგოლდს“ შორის 49-წლიანი მართვის უფლებით გადაცემასთან დაკავშირებით დადებული ხელშეკრულების ასლი, ასევე “მუშტაიდის პარკში” ჩატარებული სამუშაოების ხარჯთაღრიცხვა;
- შპს “სახელმწიფო ლატარიის კომპანიისა” და შპს “საქართველოს ფოსტის”, სრული საფინანსო ანგარიშები, საბალანსო უწყისი და მოგება-ზარალის ანგარიშგება;
- ქ. თბილისის მერიის ქონების მართვის სააგენტოს მიერ გამართულ აუქციონზე N160, ლოტი N16-ით გათვალისწინებული ქონების შესყიდვის მიზნით აუქციონში მონაწილეობის მისაღებად, კომპანია “შპს MEDICOM” მიერ წარმოდგენილი საბანკო გარანტია;
- ქ. თბილისის მერიის ქონების მართვის სააგენტოს მიერ გამართულ N160 აუქციონზე, ლოტი N16-ით გათვალისწინებული ქონების შესყიდვისას გამარჯვებული კომპანიის - შპს "MEDICOM"-ის მიერ ლოტის საფასურის დღემდე გადახდილი თანხის ოდენობის შესახებ;
- დაზარალებულთა ერთიანი რეესტრი, იმ დაზარალებულთა სია, რომლებმაც სახელმწიფოს მიერ ადრეულ წლებში მიიღეს სხვადასხვა სახის კომპენსაციები;
- სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროში პატიმრობის კოდექსის ამოქმედებასთან ერთად შექმნილი ადგილობრივი საბჭოების ახალი შემადგენლობა, რომელიც არის სასჯელის მოხდისგან პირობით ვადამდე გათავისუფლებასთან და სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით შეცვლასთან დაკავშირებული საკითხების განმხილველი ორგანო.



3. მიღებული საჯარო ინფორმაციის სტატისტიკა

IDFI-იმ პროექტის ფარგლებში (ერთი წლის განმავლობაში) მიმართა 224 საჯარო დაწესებულებას 5625 საჯარო ინფორმაციის მოთხოვნით, რომელთაგან პასუხი მიღებულ იქნა 5049 განცხადებაზე.

2010 წელს პირველი საპილოტე პროექტის განხორციელების დაწყებიდან მოყოლებული საჯარო ინფორმაციის გაცემის დინამიკა შესაბამისი სერიის პროექტების მიხედვით ცხადყოფს, რომ სახეზეა გაზრდილი მოთხოვნებზე მიღებული პასუხების მზარდი ტენდენცია. ამასთან, იმატა მიღებული

⁵³ დამატებითი ინფორმაციისათვის იხ. შემდეგი ბმული <https://opendatablog.wordpress.com/2013/04/11/idfi-exmareba-moqalaebs-informaciis-migebashi/>

საჯარო ინფორმაციის პროექტის ვებ-გვერდზე განთავსების პრაქტიკამაც, რაც საშუალებას აძლევს მომხმარებელს მიიღოს უფრო მეტი რაოდენობის ინფორმაცია, რომელიც წარმოადგენს მის ინტერესის საგანს. აღსანიშნავია, რომ წინა პროექტებთან შედარებით, იმატა ინტერესის დონემაც ვებ-გვერდზე ატვირთული ინფორმაციის მიმართ.



წინამდებარე თავში განხილულ იქნება პროექტის ფარგლებში საჯარო ინფორმაციის გაცემის პრაქტიკა სტატისტიკის ჭრილში შემდეგი ასპექტების მიხედვით:

- საჯარო ინფორმაციის გაცემის ვადები;
- საჯარო ინფორმაციის გაცემის ფორმა;
- საჯარო ინფორმაციის მოწოდების პრაქტიკა;


- საჯარო ინფორმაციის გაცემის პრაქტიკა არჩევნებამდე და არჩევნების შემდეგ.

აქვე წარმოდგენილი იქნება განხორციელებული პროექტის შედეგად გამოვლენილი ათი ყველაზე ღია და დახურული საჯარო დაწესებულების რეიტინგი.

3.1 საჯარო ინფორმაციის გაცემის ვადები

სზაკ-ის მიხედვით საჯარო დაწესებულება ვალდებულია დაუყოვნებლივ გასცეს საჯარო ინფორმაცია. ამავე დროს, თუ ინფორმაცია მოითხოვს დამუშავებას, საჯარო ინფორმაციის გაცემისთვის შეიძლება დაწესდეს 10 დღიანი ვადა. სზაკ-ის მე-40 მუხლის პირველი ნაწილი საჯარო დაწესებულებებს საჯარო ინფორმაციის გაცემას დაუყოვნებლივ ავალდებულებს.⁵⁴ დაუყოვნებლივ, თავის მხრივ, განუსაზღვრელ თარიღს ნიშნავს და ამ შემთხვევაში, კონკრეტული ვადები უნდა დადგინდეს გონივრული ფაქტორების გათვალისწინებით. კერძოდ, საჯარო ინფორმაცია დაუყოვნებლივ გაცემულად ჩაითვლება, თუ მაგალითად, ინფორმაციის მომთხოვნს იგი მოთხოვნიდან 3 (სამი) დღეში მიეწოდა. სზაკ-ის მე-40 მუხლი აკეთებს დათქმას და განსაზღვრავს შემთხვევებს, როდესაც საჯარო ინფორმაციის მიწოდებისთვის საჯარო დაწესებულებას ნაცვლად პასუხის დაუყოვნებლივ გაცემისა, შეუძლია მოითხოვოს 10 დღე.⁵⁵ ინსტიტუტის მიერ სტატისტიკის წარმოების მიზნებისათვის ვადის დაცვად მიჩნეულ იქნა ათი სამუშაო დღე. აღნიშნული კრიტერიუმით, ინსტიტუტს ინფორმაცია მიაწოდა საჯარო დაწესებულებათა უმეტესობამ.

პროექტის ფარგლებში, უპასუხოდ დატოვებული მოთხოვნების ჩათვლით, 1632 შემთხვევაში დაირღვა კანონმდებლობით დადგენილი 10 დღიანი ვადა.




⁵⁴ სზაკ-ის მე-40 მუხლი.

1. საჯარო დაწესებულება ვალდებულია გასცეს საჯარო ინფორმაცია დაუყოვნებლივ ან არა უგვიანეს 10 დღისა, თუ საჯარო ინფორმაციის მოთხოვნაზე პასუხის გაცემა მოითხოვს:


- ა) სხვა დასახლებულ პუნქტში არსებული მისი სტრუქტურული ქვედანაყოფიდან ან სხვა საჯარო დაწესებულებიდან ინფორმაციის მოძიებასა და დამუშავებას;
- ბ) მნიშვნელოვანი მოცულობის ერთმანეთთან დაუკავშირებელი ცალკეული დოკუმენტების მოძიებასა და დამუშავებას;
- გ) სხვა დასახლებულ პუნქტში არსებულ მის სტრუქტურულ ქვედანაყოფთან ან სხვა საჯარო დაწესებულებასთან კონსულტაციას.

⁵⁵ იხ. სქოლიო №54.


ამასთან, ინსტიტუტის მიერ მიღებული 5 049 პასუხიდან უმრავლესობა (3993 პასუხი) მიღებული იქნა 10 დღიანი ვადის დაცვით.



მხოლოდ 797 შემთხვევაში ეცნობა ინსტიტუტს, რომ დაწესებულებას ესაჭიროება 10 დღიანი ვადა ინფორმაციის მოსაწოდებლად.




აღსანიშნავია, რომ გასული წლების ანალოგიურ პროექტებთან შედარებით, იკლო საჯარო დაწესებულებათა მხრიდან 10 დღიანი ვადების დარღვევების შემთხვევებმა, რაც განპირობებულია უპასუხოდ დატოვებული მოთხოვნების შემცირებით და საჯარო დაწესებულებათა მხრიდან ინფორმაციის გაცემისადმი პასუხისმგებლობის დონის ზრდით.



3.2 საჯარო ინფორმაციის გაცემის ფორმა

სზაკ-ის 37-ე მუხლი აწესებს საჯარო ინფორმაციის მიღების ფორმის არჩევის უფლებას. ინსტიტუტი იყენებდა ხსენებულ უფლებას და საჯარო დაწესებულებებს თხოვდა, ინფორმაცია მოეწოდებინათ ქსეროასლის ან ელექტრონული დოკუმენტის სახით. აღნიშნული ალტერნატივის გათვალისწინებით, საჯარო დაწესებულებები ძირითადად ინფორმაციას აწვდიდნენ ინსტიტუტს ბეჭდური სახით, რაც მოითხოვს ადმინისტრაციული რესურსის მეტ დანახარჯს ელექტრონული ინფორმაციის მოწოდებისაგან განსხვავებით. აგრეთვე ინსტიტუტი წააწყდა შემთხვევებს, როდესაც კონკრეტული მოთხოვნილი ინფორმაცია მოწოდებულ იქნა როგორც ბეჭდური, ასევე ელექტრონული ფორმით.

ინსტიტუტის მიერ მიღებული 5 049 პასუხიდან უმრავლესობა (4 204 პასუხი) მიღებული იქნა ბეჭდური ფორმით, 730 პასუხი ელექტრონული ფორმით, ხოლო 115 შემთხვევაში ერთიდაიგივე ინფორმაცია მოწოდებულ იქნა როგორც ბეჭდური, ასევე ელექტრონული ფორმით.



იმ შემთხვევაში, თუ მოთხოვნილი საჯარო ინფორმაცია დაწესებულებაში ელექტრონული ფორმით ინახება და არსებობს განმცხადებლის მიერ შეთავაზებული ალტერნატივა - მიიღოს ინფორმაცია ელექტრონული ან ბეჭდური ფორმით, სასურველია საჯარო დაწესებულებებმა აირჩიონ ინფორმაციის მოწოდების მეტად ეფექტური ფორმა - ელექტრონული. აღნიშნული, ერთი მხრივ, დაზოგავს დაწესებულების ადმინისტრაციული რესურსის ძალისხმევას, ხოლო მეორე მხრივ, მისცემს განმცხადებელს საშუალებას გათავისუფლებულ იქნას საჯარო ინფორმაციის ასლის მოსაკრებლის გადახდისაგან, რაც საბოლოო ჯამში დააჩქარებს და გაამარტივებს საჯარო ინფორმაციის გაცემის პროცესს.


3.3 საჯარო ინფორმაციის მოწოდების პრაქტიკა

პროექტის განხორციელების პერიოდში ინსტიტუტის მიერ მიღებული პასუხები შესაძლებელია რამდენიმე კატეგორიად დაიყოს:

- **სრულყოფილი პასუხი** - საჯარო დაწესებულებისაგან მოთხოვნის პასუხად მიღებული ინფორმაცია, რომელიც წარმოადგენს დასმულ საკითხზე ამომწურავ პასუხს მ.შ. სრულყოფილად მოწოდებული დოკუმენტაცია;
- **არასრულყოფილი პასუხი** - საჯარო დაწესებულებიდან მოთხოვნის პასუხად მიღებული გარკვეული ინფორმაცია, რომელიც არ წარმოადგენს დასმულ საკითხზე ამომწურავ პასუხს, აგრეთვე განმცხადებლის მიერ წინასწარ არჩეული საჯარო ინფორმაციის მიღების ფორმის უგულვებელყოფით გაცემული პასუხი (მ.შ. ინფორმაციის სანახავად ვებ-გვერდზე გადამისამართება);
- **საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარი** - საჯარო დაწესებულების მიერ მოთხოვნის პასუხად მიღებული უარი, მიუხედავად იმისა გააჩნდა მას საფუძვლები (მაგ. დახურული ინფორმაცია) თუ არა (მაგ. დამუშავების ვალდებულების არ აღიარება, ადმინისტრაციული, ინფორმაციის რაოდენობის პროპროციულობა ადმინისტრაციული ორგანოს ადამიანურ რესურსთან და მისთ.);
- **უპასუხო** - საჯარო დაწესებულების მიერ განხორციელებული უმოქმედობა, რაც აისახება ინფორმაციის მოწოდებისაგან თავის არიდებაში. აღნიშნული სამართლებრივად გათანაბრებულია უართან მაგრამ IDFI-ი განცალკევებულად აწარმოებს მსგავსი შემთხვევების სტატისტიკას;
- **ინფორმაცია დაწესებულებას არ აქვს/კონკრეტული ქმედება მას არ განუხორციელებია** - საჯარო დაწესებულების მიერ მოცემული განმარტება, რომ მოთხოვნილი დოკუმენტი მასთან არ ინახება ან მის მიერ არ განხორციელებულა ის ქმედება, რომლის შესახებაც მოთხოვნილ იქნა ინფორმაცია.


პროექტის ფარგლებში, ერთი წლის განმავლობაში, ინსტიტუტმა 224 საჯარო დაწესებულებას მიმართა 5 625 საჯარო ინფორმაციის მოთხოვნით, რომელთაგან ინსტიტუტმა სრულყოფილი პასუხი მიიღო 3 830 განცხადებაზე, არასრულყოფილი პასუხი იქნა გაცემული 389 მოთხოვნაზე, უარს ადგილი ჰქონდა 42 შემთხვევაში, უპასუხოდ დატოვებული იქნა 576 მოთხოვნა, ხოლო 788

შემთხვევაში დაწესებულებები იუწყებოდნენ, რომ მათ არ გააჩნდათ მოთხოვნილი ინფორმაცია ან არ ჰქონდათ განხორციელებული კონკრეტული ქმედება.




როგორც ზემოთ ავღნიშნეთ, პროექტის განხორციელების მანძილზე საჯარო დაწესებულებებს გაეგზავნათ სხვადასხვა სახის შეკითხვები, მათ შორის, სტანდარტული შინაარსის შეკითხვები, გენდერულ ჭრილში ინფორმაციასთან დაკავშირებული შეკითხვები, განსხვავებული შეკითხვები (მათ შორის, მოსახლეობის მიერ დასმული შეკითხვები).

პროექტის ფარგლებში, საჯარო დაწესებულებებს გაეგზავნათ სულ 2762 სტანდარტული შინაარსის მოთხოვნა, რომელთაგან სრულყოფილი პასუხი მივიღეთ 1764 მოთხოვნაზე, არასრულყოფილი პასუხი იქნა გაცემული 226 მოთხოვნაზე, უარს ადგილი ჰქონდა 22 შემთხვევაში, უპასუხოდ დატოვებული იქნა 334 მოთხოვნა, ხოლო 416 შემთხვევაში დაწესებულებები იუწყებოდნენ, რომ მათ არ გააჩნდათ მოთხოვნილი ინფორმაცია ან არ ჰქონდათ განხორციელებული კონკრეტული ქმედება.




განხორციელებულმა კვლევამ გამოავლინა საინტერესო მაჩვენებლები იმ სტანდარტულ შეკითხვებთან მიმართებაში, რომლებზეც პასუხები საჯარო დაწესებულებათა მხრიდან არ იქნა გაცემული (უპასუხოდ იქნა დატოვებული ან მიღებულ იქნა უარი). სტანდარტულ შეკითხვებზე გაუცემელი პასუხების უდიდესი წილი მოდის ე.წ. „10 დეკემბრის ანგარიშების“ შესახებ მოთხოვნილ ინფორმაციაზე - 21%, ხოლო რიგით მეორე ყველაზე დაფარულ ინფორმაციას წარმოადგენს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული ფონდებიდან მიღებული თანხების დეტალური ხარჯთაღრიცხვები -11%.



პროექტის ფარგლებში, საჯარო დაწესებულებებს გაეგზავნათ გენდერულ ბალანსთან დაკავშირებული 2275 მოთხოვნა, რომელთაგან სრულყოფილი პასუხი მივიღეთ 1798 მოთხოვნაზე, არასრულყოფილი პასუხი იქნა გაცემული 96 მოთხოვნაზე, უარს ადგილი ჰქონდა 3 შემთხვევაში, უპასუხოდ დატოვებული იქნა 134 მოთხოვნა, ხოლო 244 შემთხვევაში დაწესებულებები იუწყებოდნენ, რომ მათ არ გააჩნდათ მოთხოვნილი ინფორმაცია ან არ ჰქონდათ განხორციელებული კონკრეტული ქმედება.


გენდერულ ბალანსთან დაკავშირებულ მოთხოვნებზე მიღებული პასუხები



აღსანიშნავია, რომ გენდერულ ბალანსთან დაკავშირებულ 13 მოთხოვნიდან საჯარო დაწესებულებებისათვის ყველაზე პრობლემატური აღმოჩნდა შეკითხვა გენდერულ ჭრილში დასაქმებულთა საშუალო ასაკის შესახებ, რა შემთხვევაშიც საჯარო დაწესებულებები ხშირად შემთხვევებში გვაწვდიდნენ არასწორად გამოთვლილ მონაცემებს.

პროექტის ფარგლებში, საჯარო დაწესებულებებს აგრეთვე გაეგზავნათ განსხვავებული შეკითხვები. აღნიშნული შეკითხვები/რომლებიც მოიცავდნენ მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის გათვალისწინებით სხვადასხვა კონკრეტული საკითხების შესახებ მოთხოვნებს და აგრეთვე მოსახლეობის სახელით დასმულ შეკითხვებს. პროექტის ფარგლებში, საჯარო დაწესებულებებს გაეგზავნათ 265 განსხვავებული შეკითხვა, რომელთაგან სრულყოფილი პასუხი მივიღეთ 115 მოთხოვნაზე, არასრულყოფილი პასუხი იქნა გაცემული 20 მოთხოვნაზე, უარს ადგილი ჰქონდა 17 შემთხვევაში, უპასუხოდ დატოვებული იქნა 49 მოთხოვნა, ხოლო 64 შემთხვევაში დაწესებულებები იუწყებოდნენ, რომ მათ არ გააჩნდათ მოთხოვნილი ინფორმაცია ან არ ჰქონდათ განხორციელებული კონკრეტული ქმედება.


განსხვავებულ შეკითხვებზე მიღებული პასუხები



განსხვავებულ შეკითხვებზე მიღებული პასუხების საფუძველზე, ინსტიტუტის მიერ რეგულარულად ქვეყნდებოდა ანალიტიკური ხასიათის ცნობები და სტატიები სპეციალურ ბლოგზე: <https://opendatablog.wordpress.com/>

3.4 საჯარო ინფორმაციის გაცემის პრაქტიკა არჩევნებამდე და არჩევნების შემდეგ

აღსანიშნავია, რომ პროექტის განხორციელების საწყისი პერიოდი დაემთხვა საქართველოში 2012 წლის 1 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების გზით ხელისუფლების დემოკრატიულად შეცვლის ფაქტს, რა მოვლენაც საჯარო ინფორმაციის ღიაობასთან მიმართებაში მოექცა ინსტიტუტის ინტერესის სფეროში. შესაბამისად, შესაძლებელია წარმოგიდგინოთ მონაცემები იმის თაობაზე, თუ როგორ იმოქმედა ქვეყანაში განხორციელებულმა პოლიტიკურმა ცვლილებებმა საჯარო ინფორმაციის გაცემის პრაქტიკაზე. **2012 წლის პირველი ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შემდგომ ჩვენი მონაცემებით შეინიშნება დადებითი ტენდენციები საჯარო ინფორმაციის გაცემის თვალსაზრისით. არჩევნებამდე არსებული სრულყოფილად გაცემული პასუხების 51%-იანი ნიშნული 81% - მდე გაიზარდა, ხოლო უპასუხოდ დატოვებული მოთხოვნების 30%-დან 11%- მდე შემცირდა. მნიშვნელოვანი წინსვლა შეინიშნება ასევე 10 დღიანი ვადების დაცვის თვალსაზრისითაც. საპარლამენტო არჩევნებამდე გაგზავნილი მოთხოვნების 54%-ის შემთხვევაში დარღვეული იქნა კანონმდებლობით გათვალისწინებული 10 დღიანი ვადა, ხოლო შემდგომ პერიოდში მხოლოდ 27%-ის შემთხვევაში.**




შენიშვნა: დიაგრამაზე მოყვანილ პროცენტულ მონაცემებში ასახული არ არის საჯარო დაწესებულებებიდან მიღებული იმგვარი პასუხები, სადაც იუწყებიან რომ მათ ინფორმაცია არ გააჩნიათ ან კონკრეტული ქმედება არ განუხორციელებიათ.


საინტერესოა ის ფაქტი, თუ რა ინტენსივობით განიცადა პროგრესი ინფორმაციის გაცემის თვალსაზრისით სხვადასხვა სახის საჯარო დაწესებულებებმა. საპარლამენტო არჩევნების შემდგომ ინსტიტუტის მხრიდან ყველაზე მეტი საჯარო ინფორმაციის მოთხოვნა გაეგზავნათ: სამინისტროებს, საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს და საქვეუწყებო დაწესებულებებს, სახელმწიფო მინისტრის

აპარატებს, თვითმმართველ ერთეულებს და სახელმწიფო რწმუნებულების-გუბერნატორების ადმინისტრაციებს. ჩვენს ხელთ არსებული მონაცემები საშუალებას გვაძლევს რეალური სურათი დავინახოთ, თუ როგორ აისახა პოლიტიკური ცვლილებები ზემოთ მოყვანილი ჯგუფების მიხედვით საჯარო დაწესებულებებში.



სამინისტროების შემთხვევაში საპარლამენტო არჩევნების შემდგომ პერიოდში 32%-ით შემცირდა უპასუხოდ დატოვებული შეკითხვების პრაქტიკა, ხოლო სრულყოფილად გაცემული პასუხების რაოდენობამ 49%-ით მოიმატა.



საჯარო სამართლის იურიდიული პირებისა და საქვეუწყებო დაწესებულებების შემთხვევაში არჩევნებამდე არსებული სრულყოფილი პასუხების გაცემის 52%-იანი ნიშნული გაიზარდა 88%-მდე, ხოლო უპასუხოდ დატოვებული შეკითხვების 31%-იანი პრაქტიკა 3%-მდე შემცირდა.



საჯარო ინფორმაციის გაცემის თვალსაზრისით პოლიტიკური ცვლილებების შემდეგ მეტი პასუხისმგებლობა გამოიჩინეს აგრეთვე რეგიონების თვითმმართველმა ერთეულებმა და სახელმწიფო რწმუნებულების-გუბერნატორების ადმინისტრაციებმა. თვითმმართველი ერთეულების შემთხვევაში, სრულყოფილად გაცემულმა პასუხებმა არჩევნებამდე პერიოდთან შედარებით 23% - ით იმატა, ხოლო უპასუხოდ დატოვებული მოთხოვნები 19%-ით შემცირდა. რაც შეეხება სახელმწიფო რწმუნებულების-გუბერნატორების ადმინისტრაციებს მათ მიერ სრულყოფილად გაცემულმა პასუხებმა 20%-ით განიცადა პროგრესი, ხოლო უპასუხოდ დატოვებული მოთხოვნები 14%- ით შემცირდა.



როგორც ჩვენს მიერ ზემოთ მოყვანილი დიაგრამებიდან გამოჩნდა პოლიტიკური ცვლილებები საჯარო დაწესებულებების მხრიდან საჯარო ინფორმაციის გაცემაზე დადებითად აისახა. გაუმჯობესებულია როგორც სრულყოფილი პასუხების გაცემის, აგრეთვე კანონმდებლობით დადგენილი 10 დღიანი ვადის დაცვის პრაქტიკა.

3.5 საჯარო დაწესებულებათა ინფორმაციის ღიაობის რეიტინგები

პროექტის ფარგლებში გამოვლენილ მონაცემთა საფუძველზე შეგვიძლია წარმოვიდგინოთ საჯარო დაწესებულებათა რეიტინგები შემდეგი პარამეტრების მიხედვით:

- ყველაზე გამჭვირვალე და გაუმჭვირვალე საჯარო დაწესებულებები;
- ყველაზე გამჭვირვალე და გაუმჭვირვალე საჯარო დაწესებულებები ჯგუფების მიხედვით;
- საჯარო დაწესებულებები, რომლებმაც ყველაზე მეტად გააუმჯობესეს ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;
- საჯარო დაწესებულებები, რომლებიც დაუყოვნებლივ გასცემენ საჯარო ინფორმაციას.

აღნიშნული რეიტინგების მიხედვით ინსტიტუტი ტრადიციულად აჯილდოებს საჯარო დაწესებულებებს შესაბამისი სიგელებით.

➤ ყველაზე გამჭვირვალე და გაუმჭვირვალე საჯარო დაწესებულებები ზოგადად

ყველაზე გამჭვირვალე - მოცემული პარამეტრის მიხედვით შეფასდა ყველა ის საჯარო დაწესებულება, რომელმაც პროცენტულად ყველაზე მეტი სრულყოფილი პასუხი გასცა ინსტიტუტის მოთხოვნებს. ამასთან, თანაბარ პირობებში, უპირატესობა ენიჭებათ იმ საჯარო დაწესებულებებს, რომლებმაც სრულყოფილი პასუხი მოთხოვნაზე ყველაზე მოკლე ვადაში გასცა;

ყველაზე გაუმჭვირვალე - მოცემული პარამეტრის მიხედვით შეფასდა ყველა ის საჯარო დაწესებულება, რომელმაც პროცენტულად ინსტიტუტის ყველაზე მეტი მოთხოვნა დატოვა უპასუხოდ. ამასთან, ყველაზე გაუმჭვირვალე დაწესებულების შეფასების იერარქია მოიცავს შემდეგ მიმდევრობას - დაწესებულებამ უპასუხოდ დატოვა მოთხოვნა, დაწესებულებამ უსაფუძვლო უარი თქვა მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე და დაწესებულებამ არასრულყოფილი პასუხი გასცა მოთხოვნას.

საჯარო დაწესებულებათა რეიტინგის შედგენისას გამოყენებულ იქნა გამჭვირვალეობის პროცენტული მაჩვენებლები, რომლებიც მიღებულია ქვემოთ მოცემული კოეფიციენტების მიხედვით:

მიღებული ინფორმაციის შეფასების კოეფიციენტები	
ინფორმაცია მოწოდებულია სრულყოფილად 10 დღიანი ვადის დაცვით	1
ინფორმაცია მოწოდებულია სრულყოფილად 10 დღიანი ვადის დარღვევით	0,99
ინფორმაცია მოწოდებულია არასრულყოფილად 10 დღიანი ვადის დაცვით	0,5
ინფორმაცია მოწოდებულია არასრულყოფილად 10 დღიანი ვადის დარღვევით	0,49
ინფორმაცია მოწოდებულია სრულყოფილად ადმინისტრაციული საჩივრის შემდგომ	0,6
ინფორმაცია მოწოდებულია არასრულყოფილად ადმინისტრაციული საჩივრის შემდგომ	0,3
მოთხოვნა დატოვებულია უპასუხოდ	0
დაუსაბუთებელი უარი ინფორმაციის გაცემაზე	0

განხორციელებულმა კვლევამ აჩვენა, რომ საქართველოში ყველაზე ხშირად საჯარო ინფორმაციის სრულყოფილად გასცემენ შემდეგი საჯარო დაწესებულებები:

ოცი ყველაზე გამჭვირვალე საჯარო დაწესებულება

N	საჯარო დაწესებულება	მოთხოვნების რაოდენობა	სრულყოფილი	10 -დღიანი ვადის დაცვა	გამჭვირვალობის%
1	საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი	32	32	32	100%
2	ყვარლის მუნიციპალიტეტის გამგეობა	29	29	29	100%
3	დმანისის მუნიციპალიტეტის გამგეობა	29	29	29	100%
4	ტყიბულის მუნიციპალიტეტის გამგეობა	27	27	27	100%
5	გარემოს დაცვის სამინისტრო	23	23	23	100%
6	ინფრასტრუქტურისა და რეგიონალური განვითარების სამინისტრო	22	22	22	100%
7	რენტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი	21	21	21	100%
8	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	19	19	19	100%
9	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო	19	19	19	100%
10	შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემია	19	19	19	100%
11	ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტო	18	18	18	100%
12	საქართველოს სტანდარტების, ტექნიკური რეგლამენტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო	18	18	18	100%
13	აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო - აკრედიტაციის ცენტრი	18	18	18	100%
14	განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი	18	18	18	100%
15	საჯარო სამსახურის ბიურო	18	18	18	100%
16	სასჯელადასრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრი	17	17	17	100%
17	სამოქალაქო ავიაციის სააგენტო	17	17	17	100%
18	სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტო	17	17	17	100%
19	ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი	17	17	17	100%
20	საქართველოს სახელმწიფო ჰიდროგრაფიული სამსახური	16	16	16	100%

ყველაზე დახურული საჯარო დაწესებულება

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი კომისია

განხორცილებული კვლევის ფარგლებში, ინსტიტუტის მიერ გამოვლენილი იქნა ყველაზე დახურული საჯარო დაწესებულება, რომელსაც წარმოადგენს - **ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი კომისია**. აღნიშნულმა საჯარო დაწესებულებამ ინსტიტუტის მიერ გაზავნილ 5 მოთხოვნაზე დაუსაბუთებელი უარი განაცხადა ინფორმაციის გაცემაზე. კერძოდ, 2013 წლის 26 მარტს, ინსტიტუტმა მარეგულირებელ კომისიას მოსთხოვა საჯარო ინფორმაცია 12 პუნქტად. კომისიამ 2013 წლის 5 აპრილის წერილით უარი განაცხადა გაეცა ინფორმაცია, ხოლო უარის მოტივად მითითებულ იქნა კონფიდენციალურობა. 2013 წლის 18 აპრილს, ინსტიტუტმა სარჩელით მიმართა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს, რადგან უკანონოდ მიაჩნია კომისიის უარი. აღსანიშნავია, რომ ეს არ არის პირველი შემთხვევა, როდესაც ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია უარს ეუბნება IDFI-ის საჯარო ინფორმაციის გაცემაზე. ანალოგიური შემთხვევას ადგილი ჰქონდა 2011 წელს. მიუხედავად იმ ფაქტისა, რომ ინსტიტუტმა შუამდგომლობით მიმართა საქართველოს სახალხო დამცველს, კომისიამ არ გაითვალისწინა ომბუდსმენის მიერ მათზე გადაგზავნილი რეკომენდაციები, რაც შემდგომში აისახა საქართველოს სახალხო დამცველის 2011 წლის ანგარიშშიც: "საქართველოს სახალხო დამცველმა მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში რეკომენდაციით მიმართა საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიას, გაეცა ა(ა)იპ ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის მიერ მოთხოვნილი შემდეგი საჯარო ინფორმაცია: საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის თანამშრომლების სია, მოცემულ ორგანოში დასაქმებული პირების მიერ საწვავის მოხმარებაზე გაწეული ფაქტობრივი ხარჯი და ყოველთვიური ზღვრული ლიმიტი, ასევე სატელეფონო საუბრებზე გაწეული სატელეკომუნიკაციო ხარჯები (კონკრეტულ პირთა ვინაობაზე მითითების გარეშე)." ⁵⁶

სამწუხარო ფაქტია, რომ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია კვლავ აგრძელებს გაუმჭვირვალედ და არა ანგარიშვალდებულად საქმიანობას და არ ასრულებს საქართველოს კანონმდებლობით მასზე დაკისრებულ მოვალეობას უზრუნველყოს საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა.

განხორციელებულმა კვლევამ აგრეთვე ცხადყო, რომ საქართველოში ყველაზე ხშირად საჯარო ინფორმაციის გაცემას თავს არიდებენ შემდეგი საჯარო დაწესებულებები:

⁵⁶ "საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ" საქართველოს სახალხო დამცველის 2011 წლის ანგარიში - გვ.99

ათი ყველაზე გაუმჭვირვალე საჯარო დაწესებულება

N	საჯარო დაწესებულება	მოთხოვნების რაოდენობა	უპასუხო	უარი	სრულყოფილი	არასრულყოფილი	10 დღიანი ვადის დასრულება	გამჭვირვალობის %
1	ბოლნისის მუნიციპალიტეტის გამგეობა	21	21	0	0	0	0	0%
2	გარდაბანის მუნიციპალიტეტის გამგეობა	32	30	0	2	0	1	6,2%
3	სიღნაღის მუნიციპალიტეტის გამგეობა	31	22	0	9	0	9	29%
4	თბილისის საქალაქო სასამართლო	6	4	0	2	0	2	33,3%
5	ქუთაისის საქალაქო სასამართლო	6	4	0	2	0	2	33,3%
6	ბათუმის საქალაქო სასამართლო	6	0	4	2	0	6	33,3%
7	წალკის მუნიციპალიტეტის გამგეობა	31	20	0	11	0	11	35,5%
8	ბორჯომის მუნიციპალიტეტის გამგეობა	32	17	0	15	0	0	46,4%
9	მესტიის მუნიციპალიტეტის გამგეობა	31	14	0	15	2	17	51,6%
10	ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობა	34	14	0	16	1	17	53,1%

➤ ყველაზე გამჭვირვალე და გაუმჭვირვალე საჯარო დაწესებულებები ჯგუფების მიხედვით

კვლევის ფარგლებში ინფორმაციული გამჭვირვალობისა და გაუმჭვირვალობის პარამეტრებით აგრეთვე შეფასდა საჯარო დაწესებულებების შემდეგი ჯგუფები:

I. ცენტრალური საჯარო დაწესებულებები

განხორციელებული პროექტის შედეგების თანახმად, ყველაზე მეტი სრულყოფილი პასუხი მოთხოვნაზე გასცა - გარემოს დაცვის სამინისტრომ, ხოლო ყველაზე გაუმჭვირვალე აღმოჩნდა - საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია.

ცენტრალური საჯარო დაწესებულებების გამჭვირვალობის რეიტინგი

საჯარო დაწესებულება		მოთხოვნების რაოდენობა	უპასუხო	უარი	სრულყოფილი	არასრულყოფილი	10 დღიანი ვადის	გამჭვირვალობის%
1	გარემოს დაცვის სამინისტრო	23	0	0	23	0	23	100%
2	ინფრასტრუქტურისა და რეგიონალური განვითარების სამინისტრო	22	0	0	22	0	22	100%
3	რენტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი	21	0	0	21	0	21	100%
4	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	19	0	0	19	0	19	100%
5	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო	19	0	0	19	0	19	100%
6	ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი	17	0	0	17	0	17	100%
7	დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი	21	0	0	20	1	21	97,6%
8	აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატი	21	0	0	20	1	10	97,5%
9	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტრო	19	0	0	18	1	19	97,4%
10	იუსტიციის სამინისტრო	23	0	0	22	1	13	97,4%
11	ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	33	0	0	31	2	33	97%
12	საგარეო საქმეთა სამინისტრო	22	0	0	20	2	1	94,5%
13	ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო	24	0	0	21	3	24	93,8%
14	სოფლის მეურნეობის სამინისტრო	22	0	0	19	3	22	93,2%
15	ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო	21	1	0	19	1	20	92,9%
16	სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამინისტრო	24	0	1	21	2	24	91,7%
17	კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო	29	1	0	25	3	17	91 %
18	შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	22	2	0	20	0	18	90,8%
19	თავდაცვის სამინისტრო	30	2	1	26	1	6	87,7%
20	საქართველოს პარლამენტი	34	4	0	27	3	14	83,4%
21	სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტრო	20	2	0	15	3	10	82,6%
22	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო	19	3	0	15	1	6	81,1%
23	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატი	20	3	1	16	0	17	80%
24	საქართველოს მთავრობის კანცელარია	37	9	0	28	0	24	75,6%
25	განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო	27	6	1	20	0	0	73,3%
26	ფინანსთა სამინისტრო	30	7	0	19	4	23	70%
27	შინაგან საქმეთა სამინისტრო	31	4	4	17	6	3	63,9%
28	საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია	29	4	0	24	1	0	49,7%

II. საჯარო სამართლის იურიდიული პირები, საქვეუწყებო და სხვა საჯარო დაწესებულებები

განხორციელებული პროექტის შედეგების თანახმად, ყველაზე მეტი სრულყოფილი პასუხი მოთხოვნაზე გასცა - საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა, ხოლო ყველაზე გაუმჭირვალე აღმოჩნდა - საქართველოს სავაჭრო სამრეწველო პალატა.

ათი ყველაზე გამჭვირვალე სსიპ-ი, საქვეუწყებო და სხვა საჯარო დაწესებულება								
N	საჯარო დაწესებულება	მოთხოვნების რაოდენობა	უპასუხო	უარი	სრულყოფილი	არასრულყოფილი	10 დღიანი ვადის დაცვა	გამჭვირვალეობის %
1	საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი	32	0	0	32	0	32	100%
2	შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემია	19	0	0	19	0	19	100%
3	ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტო	18	0	0	18	0	18	100%
4	საქართველოს სტანდარტების, ტექნიკური რეგლამენტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო	18	0	0	18	0	18	100%
5	აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო - აკრედიტაციის ცენტრი	18	0	0	18	0	18	100%
6	განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი	18	0	0	18	0	18	100%
7	საჯარო სამსახურის ბიურო	18	0	0	18	0	18	100%
8	სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრი	17	0	0	17	0	17	100%
9	სამოქალაქო ავიაციის სააგენტო	17	0	0	17	0	17	100%
10	სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტო	17	0	0	17	0	17	100%
ხუთი ყველაზე გაუმჭირვალე სსიპ-ი, საქვეუწყებო და სხვა საჯარო დაწესებულება								
N	საჯარო დაწესებულება	მოთხოვნების რაოდენობა	უპასუხო	უარი	სრულყოფილი	არასრულყოფილი	10 დღიანი ვადის დაცვა	გამჭვირვალეობის %
1	ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი კომისია	22	1	5	13	3	21	65,9%
2	საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახური	20	4	0	11	5	10	67,2%
3	საქპატენტი	24	4	0	14	6	20	70,8%
4	საქართველოს საგადასახადო ომბუდსმენის აპარატი	21	5	0	15	1	26	73,8%
5	საქართველოს ეროვნული	18	2	0	11	5	18	75%

III. რეგიონული ორგანოები - მერიები, გამგეობები და გუბერნატორების ადმინისტრაციები

განხორციელებული პროექტის შედეგების თანახმად, ყველაზე მეტი სრულყოფილი პასუხი მოთხოვნაზე გასცა - ყვარლის და დმანისის მუნიციპალიტეტის გამგეობებმა, ხოლო ყველაზე გაუმჭვირვალე აღმოჩნდა - ბოლნისის მუნიციპალიტეტის გამგეობა.

ხუთი ყველაზე ღია რეგიონალური ორგანო								
N	საჯარო დაწესებულება	მოთხოვნების რაოდენობა	უპასუხო	უარი	სრულყოფილი	არასრულყოფილი	10 დღიანი ვადის დაცვა	გამჭვირვალობის %
1	ყვარლის მუნიციპალიტეტის გამგეობა	29	0	0	29	0	29	100%
2	დმანისის მუნიციპალიტეტის გამგეობა	29	0	0	29	0	29	100%
3	ტყიბულის მუნიციპალიტეტის გამგეობა	27	0	0	27	0	27	100%
4	იმერეთის გუბერნატორის ადმინისტრაცია	6	0	0	6	0	6	100%
5	სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორის ადმინისტრაცია	6	0	0	6	0	6	100%
ხუთი ყველაზე დახურული რეგიონული ორგანო								
N	საჯარო დაწესებულება	მოთხოვნების რაოდენობა	უპასუხო	უარი	სრულყოფილი	არასრულყოფილი	10 დღიანი ვადის დაცვა	გამჭვირვალობის %
1	ბოლნისის მუნიციპალიტეტის გამგეობა	21	21	0	0	0	0	0%
2	გარდაბანის მუნიციპალიტეტის გამგეობა	32	30	0	2	0	1	6,2%
3	სიღნაღის მუნიციპალიტეტის გამგეობა	31	22	0	9	0	9	29%
4	წალკის მუნიციპალიტეტის გამგეობა	31	20	0	11	0	11	35,5%
5	ბორჯომის მუნიციპალიტეტის გამგეობა	32	17	0	15	0	0	46,4%

IV. სახელმწიფო უნივერსიტეტები

განხორციელებული პროექტის შედეგების თანახმად, ყველაზე მეტი სრულყოფილი პასუხი მოთხოვნაზე გასცა - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტმა და თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტმა, ხოლო ყველაზე გაუმჭირვალე აღმოჩნდა - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

სახელმწიფო უნივერსიტეტების გამჭვირვალობის რეიტინგი								
N	საჯარო დაწესებულება	მოთხოვნების რაოდენობა	უპასუხო	უარი	სრულყოფილი	არასრულყოფილი	10 დღიანი ვადის დაცვა	გამჭვირვალობის %
1	სოხუმის უნივერსიტეტი	8	0	0	8	0	8	100%
2	სამედიცინო უნივერსიტეტი	8	0	0	8	0	8	100%
3	გორის უნივერსიტეტი	8	0	0	7	1	8	93,8%
4	ზუგდიდის უნივერსიტეტი	8	0	0	7	1	8	93,8%
5	ილიას სახ. უნივერსიტეტი	8	0	0	7	1	8	93,8%
6	ტექნიკური უნივერსიტეტი	8	1	0	7	0	7	87,5%
7	თელავის უნივერსიტეტი	8	1	0	6	1	7	81,3%
8	ბათუმის უნივერსიტეტი	8	1	0	6	1	7	81,3%
9	ქუთაისის უნივერსიტეტი	8	2	0	6	0	6	75 %
10	თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	8	0	2	4	2	6	62,5%

➤ **საჯარო დაწესებულებები, რომლებმაც გაამჯობესეს ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა**

ინსტიტუტმა ჯერ კიდევ წინა პროექტის - „საჯარო ინფორმაციის მონაცემთა ბაზა“ ფარგლებში წარმოადგინა საჯარო დაწესებულებათა რეიტინგები. მიმდინარე პროექტის შედეგად გამოვლენილმა მონაცემებმა საშუალება მოგვცა წარმოგიდგინოთ იმ საჯარო დაწესებულებათა ჩამონათვალი, რომლებმაც ყველაზე მაღალი პროცენტით გაამჯობესეს საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა. პროგრესი, მაღალი ალბათობით, გამოწვეული იყო 2012 წლის პირველი

ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შედეგად განხორციელებულ პოლიტიკური ცვლილებებით. ინფორმაციის გამჭვირვალობის კუთხით 5 ყველაზე პროგრესულ საჯარო დაწესებულებათა შორის პირველი ადგილი დაიკავა არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნულმა სააგენტომ. აღსანიშნავია, რომ მათ მიერ წინა პროექტის ფარგლებში არ იქნა დაკმაყოფილებული ინსტიტუტის არცერთი მოთხოვნა, ხოლო მიმდინარე პროექტის ფარგლებში ამ დაწესებულების მიერ მოთხოვნებზე სრულყოფილად გაცემულმა პასუხებმა 94,1% შეადგინა.

საჯარო დაწესებულება რომლებმაც გაამჯობესეს საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა				
	საჯარო დაწესებულება	2011-2012 წლის პროექტის ფარგლებში გაცემული სრულყოფილი პასუხები	2012-2013 წლის პროექტის ფარგლებში გაცემული სრულყოფილი პასუხები	პროგრესი
1	არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტო	0 %	94,1%	94,1%
2	თავდაცვის სამინისტრო	0%	86,6%	86,6%
3	თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის გამგეობა	0%	86,2%	86,2%
4	ცაგერის მუნიციპალიტეტის გამგეობა	0%	84,4%	84,4%
5	სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამგეობა	0%	80%	80%
6	თიანეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა	0 %	94,1%	78,5%
7	ხონის მუნიციპალიტეტის გამგეობა	0%	75,6%	75,6%
8	კასპის მუნიციპალიტეტის გამგეობა	0%	72,7%	72,7%
9	ქარელის მუნიციპალიტეტის გამგეობა	0 %	71,4%	71,4%
10	ასპინძის მუნიციპალიტეტის გამგეობა	0%	65,6%	65,6%
11	შსს მომსახურების სააგენტო	0 %	61,9%	61,9%
12	ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის გამგეობა	0%	55,2%	55,2%
13	ვანის მუნიციპალიტეტის გამგეობა	0 %	53,3%	53,3%
14	ბორჯომის მუნიციპალიტეტის გამგეობა	0%	46,9%	46,9%

➤ **საჯარო დაწესებულებები, რომლებიც დაუყოვნებლივ გასცემენ საჯარო ინფორმაციას**

ინფორმაციის დაუყოვნებლივ გაცემის მაჩვენებლის შეფასება განხორციელდა ერთი და იმავე მოცულობისა და შინაარსის მოთხოვნებზე საჯარო დაწესებულების მიერ რეაგირების სისწრაფის მიხედვით. აღსანიშნავია, რომ ინფორმაციის გაცემის ვადების დაცვა საჯარო დაწესებულებათა მხრიდან კვლავ რჩება საქართველოში ინფორმაციის თავისუფლებასთან დაკავშირებულ ძირითად პრობლემად.

დაუყოვნებლივ გაცემული საჯარო ინფორმაცია				
	საჯარო დაწესებულება	მოთხოვნების რაოდენობა	3 დღიანი ვადის დაცვა	დღეების რაოდენობა საშუალოდ
1	ჯანმრთელობის დაზღვევის მედიაციის სამსახური	21	21	2
2	საქართველოს სტანდარტების, ტექნიკური რეგლამენტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო	21	21	2,4
3	საქართველოს ტურიზმის ეროვნული სააგენტო	21	21	3
4	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო	21	21	3

4. ადმინისტრაციულ ორგანოთა გასაჩივრებული გადაწყვეტილებები

პროექტის ფარგლებში, ინსტიტუტმა გაასაჩივრა საჯარო დაწესებულებათა მიერ ამა თუ იმ მოთხოვნის უპასუხოდ დატოვებისა თუ საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შემთხვევები. სულ ინსტიტუტის მიერ ადმინისტრაციულ ორგანოებში შეტანილ იქნა 8 ადმინისტრაციული საჩივარი და პირველი ინსტანციის სასამართლოებში 4 ადმინისტრაციული სარჩელი. აღსანიშნავია, რომ აღნიშნული ზომებისათვის მიმართვის შედეგად საჯარო ინფორმაცია საბოლოო ჯამში სრულყოფილად გაცემულ იქნა 7 შემთხვევაში, ხოლო 1 შემთხვევაში ინფორმაცია მოწოდებულ იქნა არასრულყოფილი სახით. ამასთან, დამატებით 2 შემთხვევაში ინსტიტუტი სასამართლო პროცესის მოლოდინშია:

საქართველოს განათლების სამინისტრო

ადმინისტრაციული საჩივარი შეტანილ იქნა 2012 წლის 3 სექტემბერს. სამინისტრომ უპასუხოდ დატოვა 2012 წლის პირველ კვარტალში განათლებისა და მეცნიერების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავებაზე სახელმწიფო ბიუჯეტიდან „სხვა ხარჯებისათვის“ გამოყოფილი 1 000 000 (ერთი მილიონი) ლარის დეტალური ხარჯთაღრიცხვის მოთხოვნა. ინფორმაცია მოწოდებულ იქნა ადმინისტრაციული საჩივრის შემდეგ, რომლითაც ინსტიტუტს ეცნობა, რომ მოთხოვნილი ხარჯთაღრიცხვა სამინისტროში არ იყო დაცული.

საქართველოს მთავრობის კანცელარია

ადმინისტრაციული საჩივარი შეტანილ იქნა 2012 წლის 3 სექტემბერს. კანცელარიამ უპასუხოდ დატოვა საქართველოს მთავრობის რიგი განკარგულებებისა და პრემიერ-მინისტრის ბრძანების ასლების მოწოდების მოთხოვნა. ინფორმაცია მოწოდებულ იქნა ადმინისტრაციული საჩივრის განხილვის პროცესში, 18 ოქტომბერს, ინსტიტუტს გადაეცა მთავრობის განკარგულებების მოთხოვნილი ქსეროასლები.

საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია

ადმინისტრაციული საჩივარი შეტანილ იქნა 2012 წლის 5 სექტემბერს. პრეზიდენტის ადმინისტრაციამ უპასუხოდ დატოვა ინსტიტუტის 2 განცხადებით მოთხოვნილი - 1) პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსის, მისი მოადგილის, პრეზიდენტის მრჩეველის, პრეზიდენტის პრეს-სამსახურის და პრეზიდენტის ადმინისტრაციის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსის ხელფასის ოდენობისა და ხელფასის დამტკიცების აქტის და 2) 2012 წელს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი თანხების შესახებ არსებული ბრძანებულებების; საპრეზიდენტო პროგრამების ჩამონათვალის, მათი ხანგრძლივობისა და პროგრამებზე გათვალისწინებული თანხების (2011-2012 წლებში) შესახებ საჯარო ინფორმაციის მოწოდების მოთხოვნა. პრეზიდენტის ადმინისტრაციამ ადმინისტრაციული საჩივარი დატოვა რეაგირების გარეშე, რის საფუძველზეც 2012 წლის 12 ოქტომბერს ინსტიტუტმა ადმინისტრაციული სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს. 2012 წლის 6 დეკემბერს, სასამართლო სხდომის გამართვამდე 20 წუთით ადრე საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციამ მიაწოდა პასუხი ინსტიტუტს - სარჩელი გამოხმობილ იქნა.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგეობა

ადმინისტრაციული საჩივარი შეტანილ იქნა 2012 წლის 5 სექტემბერს. გამგეობამ უპასუხოდ დატოვა პარტიებთან გაფორმებული იმ ქირავნობის ხელშეკრულებების მოწოდების მოთხოვნა, რომელთა მიხედვითაც პარტიები ფლობენ მუნიციპალურ ფართებს. მოთხოვნილი ინფორმაცია მოწოდებულ იქნა ადმინისტრაციული საჩივრის შემდეგ, 2012 წლის 7 ნოემბერს.

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო

ადმინისტრაციული საჩივარი შეტანილ იქნა 2012 წლის 12 ოქტომბერს. სასჯელაღსრულების დეპარტამენტმა უპასუხოდ დატოვა შემდეგი ინფორმაციის გაცემის მოთხოვნა: 1) მსჯავრდებულთა რაოდენობა, რომლებიც გადაყვანილი იქნენ გლდანის N8 დაწესებულებიდან N18 სამკურნალო დაწესებულებაში 2) N18 დაწესებულებაში გარდაცვლილ იმ მსჯავრდებულთა რაოდენობა, რომლებიც გადაყვანილი იქნენ N8 დაწესებულებიდან. შესაბამისი ინფორმაცია მოწოდებულ იქნა ადმინისტრაციული საჩივრის შემდეგ.

საქართველოს თავდაცვის სამინისტრო

ადმინისტრაციული საჩივარი შეტანილ იქნა 2012 წლის 11 დეკემბერს. სამინისტრომ უპასუხოდ დატოვა შემდეგი ინფორმაციის გაცემის მოთხოვნა: 1) 2012 წლის 01 ოქტომბრიდან განცხადების მიღების მომენტამდე გაცემული პრემიების რაოდენობა (თითოეულ სამტატო ერთეულზე ინდივიდუალურად) და შესაბამისი სამართლებრივი აქტების ასლები; 2) ავღანეთის სამშვიდობო მისიაში მონაწილეობისას დაჭრილ ქართველ სამხედრო მოსამსახურეთა რაოდენობა. შესაბამისი ინფორმაცია მოწოდებულ იქნა ადმინისტრაციული საჩივრის შემდეგ.

საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია

ადმინისტრაციული საჩივარი შეტანილ იქნა 2013 წლის 10 მარტს. პრეზიდენტის ადმინისტრაციამ უპასუხოდ დატოვა შემდეგი ინფორმაციის გაცემის მოთხოვნა:

1. წერილის მიწოდების დროის მდგომარეობით პრეზიდენტის ადმინისტრაციის შტატში და შტატგარეშე მომუშავე პირთა საერთო რაოდენობა ცალ-ცალკე;

2. ინფორმაცია იმის თაობაზე, თუ რამდენი პირი იქნა გათავისუფლებული პრეზიდენტის ადმინისტრაციაში დაკავებული თანამდებობიდან საკუთარი განცხადებით;

3. ინფორმაცია იმის თაობაზე, თუ რამდენი პირი გათავისუფლებულ იქნა პრეზიდენტის ადმინისტრაციაში დაკავებული თანამდებობიდან ადმინისტრაციის გადაწყვეტილებით;

4. ინფორმაცია იმის თაობაზე, თუ რამდენი პირი დასაქმებული იქნა პრეზიდენტის ადმინისტრაციის შტატში და შტატგარეშე თანამშრომლად 2012 წლის 21 ოქტომბრიდან 2013 წლის 31 იანვრის ჩათვლით ცალ-ცალკე - დაკავებული თანამდებობის, სახელისა და გვარის მითითებით;

5. პრეზიდენტის ადმინისტრაციის თანამდებობის პირებზე 2012 წლის პირველი იანვრიდან 2013 წლის 31 იანვრის ჩათვლით დარიცხული პრემიების შესახებ ინფორმაცია (ცალ-ცალკე თითოეულ თანამდებობის პირზე, თვეების მიხედვით);

6. საქართველოს პრეზიდენტის ქვეყნის გარეთ და ქვეყნის შიგნით (ცალ-ცალკე) განხორციელებულ ოფიციალურ ვიზიტებზე და სამუშაო შეხვედრებზე 2012 წლის პირველი იანვრიდან 2013 წლის 31 იანვრის ჩათვლით გაწეული სამივლინებო ხარჯების შესახებ ინფორმაცია;

7. პრეზიდენტის ადმინისტრაციის ბალანსზე რიცხული ავტომანქანების ჩამონათვალი (ავტომანქანის მოდელის მითითებით);

8. პრეზიდენტის ადმინისტრაციის მიერ 2012 წლის პირველი იანვრიდან 2013 წლის 31 იანვრის ჩათვლით განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების (გამოცხადებული ტენდერები, კონკურსები და სხვა სახის სახელმწიფო შესყიდვები) ამომწურავი ჩამონათვალი (სია) და თითოეულ მათგანზე გახარჯული თანხის ოდენობა;

9. პრეზიდენტის ადმინისტრაციის მიერ საწვავის მოხმარებაზე გაწეული ფაქტობრივი ხარჯი 2012 წლის პირველი იანვრიდან 2013 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

ინფორმაცია სრულყოფილი სახით მოწოდებულ იქნა ადმინისტრაციული საჩივრის შემდეგ, 2013 წლის 13 მარტს.

საზოგადოებრივი მაუწყებელი

ადმინისტრაციული საჩივარი შეტანილ იქნა 2013 წლის 10 აპრილს. მოთხოვნილ იქნა საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირის აქტის ბათილად ცნობა და ინსტიტუტისათვის მოთხოვნილი საჯარო ინფორმაციის გაცემის დავალდებულება. საზოგადოებრივმა მაუწყებელმა უარი განაცხადა გაეცა საზოგადოებრივი მაუწყებლის გენერალური დირექტორის მოვალეობის

შემსრულებლის თანამდებობრივი სარგოს (ხელფასის) ოდენობის შესახებ ინფორმაცია და ხსენებული სარგოს განსაზღვრის (დამტკიცების) შესახებ შესაბამისი სამართლებრივი აქტის ასლი. მოტივად მითითებულ იქნა, რომ ინფორმაცია საჯარო „გახდება“ მას შემდეგ რაც საჯარო სამსახურის ბიუროში წარდგენილი იქნება თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაცია. ინფორმაცია მოწოდებულ იქნა მხოლოდ ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილების შემდეგ.

ქუთაისის საქალაქო სასამართლო

2012 წლის 20 დეკემბერს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ელექტრონული პროგრამის მეშვეობით service.court.ge/public/ ინსტიტუტმა ქუთაისის საქალაქო სასამართლოდან მოითხოვა შემდეგი საჯარო ინფორმაცია: 1) 2012 წლის 21 ოქტომბრიდან 2012 წლის დეკემბრამდე რამდენი ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების - "სატელეფონო საუბრების ფარული მიყურადებისა და ჩაწერის" შესახებ შუამდგომლობა იქნა განხილული ქუთაისის საქალაქო სასამართლოს მიერ; ბ) 2012 წლის 21 ოქტომბრიდან 2012 წლის დეკემბრამდე რამდენი ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების - "სატელეფონო საუბრების ფარული მიყურადებისა და ჩაწერის" შესახებ შუამდგომლობა იქნა დააკმაყოფილებული ქუთაისის საქალაქო სასამართლოს მიერ; გ) 2012 წლის 21 ოქტომბრიდან 2012 წლის დეკემბრამდე მოსამართლის მიერ სანქციის გარეშე განხორციელებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების - "სატელეფონო საუბრების ფარული მიყურადებისა და ჩაწერის" შესახებ რამდენი შუამდგომლობა იქნა ცნობილი კანონიერად ქუთაისის საქალაქო სასამართლოს მიერ; დ) 2012 წლის 21 ოქტომბრიდან 2012 წლის დეკემბრამდე მოსამართლის სანქციის გარეშე განხორციელებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების - "სატელეფონო საუბრების ფარული მიყურადებისა და ჩაწერის" შესახებ რამდენი შუამდგომლობა იქნა ცნობილი უკანონოდ ქუთაისის საქალაქო სასამართლოს მიერ. მოთხოვნაზე სასამართლოს მიერ პასუხი არ გაცემულა. 2013 წლის 22 იანვარს ინსტიტუტმა სარჩელით მიმართა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნით.

2013 წლის 13 მარტს, სასამართლოს გადაწყვეტილებით (3/24.2287) ინსტიტუტის სარჩელი არ დაკმაყოფილდა. ძირითად მოტივად მითითებულ იქნა ის, რომ ინფორმაციის გაცემა უნდა შეესაბამებოდეს გონივრულობას და მოთხოვნილი დაუმუშავებელი ინფორმაციის რაოდენობა პროპორციული უნდა იყოს ადმინისტრაციული ორგანოს ადამიანურ რესურსთან.

თბილისის საქალაქო სასამართლო

2012 წლის 20 დეკემბერს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ელექტრონული პროგრამის მეშვეობით service.court.ge/public/ ინსტიტუტმა თბილისის საქალაქო სასამართლოდანაც მოითხოვა ქუთაისის საქალაქო სასამართლოდან მოთხოვნილი მონაცემების იდენტური საჯარო ინფორმაცია. 2013 წლის 22 იანვარს ინსტიტუტმა სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნით.

2013 წლის 28 იანვარს, სასამართლომ განჩინებით (საქმე №3/189-13) დასაშვებად სცნო სარჩელი, ხოლო 2013 წლის 18 მარტს წარმოდგენილ იქნა მოპასუხის შესაგებელი, სადაც ინფორმაციის გაუცემლობის მოტივად მითითებულია, რომ მოთხოვნილი ინფორმაცია განეკუთვნება სახელმწიფო საიდუმლოებას. ინსტიტუტი კვლავ მოსამზადებელი სხდომის ჩანიშვნის მოლოდინშია.

ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია

2013 წლის 26 მარტს, ინსტიტუტმა მარეგულირებელ კომისიას მოსთხოვა საჯარო ინფორმაცია 12 პუნქტად. კომისიამ 2013 წლის 05 აპრილის №6/06-18/58-770 წერილით გასცა პასუხი ინსტიტუტს, რომლითაც უარი განაცხადა გაცემა ინფორმაცია მოთხოვნის შემდეგ პუნქტებზე: 1-ლი - ინფორმაცია ხელმძღვანელსა და მის მოადგილეებზე (ცალ-ცალკე) დარიცხული პრემიების ოდენობის შესახებ; მე-2 - ინფორმაცია თანამშრომლებზე (საერთო ოდენობა) დარიცხული პრემიების ოდენობის შესახებ; მე-3 - მოქმედი საშტატო ნუსხა თითოეული პოზიციის თანამდებობრივი სარგოს მითითებით; მე-10 - ინფორმაცია ხელმძღვანელის ქვეყნის გარეთ განხორციელებულ ოფიციალურ და სამუშაო ვიზიტებზე გაწეული სამივლინებო ხარჯების შესახებ. უარის მოტივად მითითებულ იქნა კონფიდენციალურობა. 2013 წლის 18 აპრილს, ინსტიტუტმა სარჩელით მიმართა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს, მოთხოვნით ბათილად იქნეს ცნობილი შესაბამისი უარის აქტი და დაევალოს კომისიას ინსტიტუტისთვის მოთხოვნილი საჯარო ინფორმაციის მიწოდება. ინსტიტუტს კომისიის უარი უკანონოდ მიაჩნია, ვინაიდან თანამდებობის პირთა პერსონალური მონაცემები კანონით ღიაა, ხოლო სხვა შემთხვევებში, მოთხოვნილი ინფორმაცია რომელიმე კონკრეტულ ფიზიკურ პირთა იდენტიფიცირების საშუალებას არ იძლევა.

VI დასკვნა

ისევე როგორც გასულ წლებში, საქართველოს მასშტაბით ინსტიტუტის მიერ 2012-2013 წლებში განხორციელებულმა პროექტმა „საჯარო ინფორმაციის მონაცემთა ბაზა - www.opendata.ge“ კვლავ გამოკვეთა ის ძირითადი პრობლემები, რომლებიც საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობისა და ინფორმაციის თავისუფლების საკითხებს ეხება.

სამართლებრივ ჭრილში პრობლემატიკა აისახება ორი მიმართულებით:

- საჯარო დაწესებულებათა მიერ ინფორმაციის თავისუფლების მარეგულირებელ საკანონმდებლო ნორმათა არასწორი ინტერპრეტირება;
- საჯარო დაწესებულებათა მიერ ინფორმაციის თავისუფლების მარეგულირებელ საკანონმდებლო ნორმათა უგულებელყოფა.

საჯარო დაწესებულებები ხშირად ცდილობენ ინფორმაციის ღიაობის საწინააღმდეგო პრაქტიკა გაამყარონ შესაბამის სამართლებრივ ნორმათა იმგვარი ინტერპრეტირების გზით, რომელიც უსაფუძვლოდ აყენებს საჯარო ინფორმაციის მომთხოვნს წამგებიან მდგომარეობაში. რიც შემთხვევებში, იგივე შეიძლება ითქვას სასამართლო პრაქტიკაზეც.

ფართო საწიერს აღნიშნულისათვის იძლევა დახურული საჯარო ინფორმაციის სამართლებრივი ასპექტები, რის ყველაზე ნათელ მაგალითს წარმოადგენს, უკვე ტრადიციულად ქცეული პრობლემა - თანამდებობის პირთა პრემიებისა და სახელფასო დანამატების საჯარო დაწესებულებათა მხრიდან დამალვის მცდელობა. მიუხედავად იმისა, რომ სზაკ-ის 44-ე მუხლი პირდაპირ ადგენს თანამდებობის პირთა და თანამდებობაზე წარდგენილ კანდიდატთა პერსონალური მონაცემების საჯარო ინფორმაციის სახით ხელმისაწვდომობის რეჟიმს, საჯარო დაწესებულებები სხვადასხვა სახის სამართლებრივი განმარტებებით მაინც ცდილობენ თავი აარიდონ ამგვარი ინფორმაციის გაცემას. ყველაზე ხშირად აღნიშნული ხორციელდება ინფორმაციის გაცემაზე კონკრეტული თანამდებობის

პირის თანხმობის არქონის მოტივით. ხდება საქართველოს კონსტიტუციის 41-ე მუხლის მე-2 პუნქტზე აპელირება და კონსტიტუციური ჩანაწერის - „კერძო საკითხებთან დაკავშირებული“ გავრცელება საჯარო თანამდებობის პირთა პრემიებსა და დანამატებთან მიმართებაში. სხვა შემთხვევებში საჯარო დაწესებულებებმა შემოიღეს პერსონალურ მონაცემთა დაცვის შედარებით ახალი კანონის ყოვლად უსაფუძვლო ინტერპრეტირება - თითქოს პირის თანხმობა, მის შესახებ არსებული პერსონალური მონაცემების გაცემისათვის წარმოადგენს საჯარო დაწესებულებისათვის ერთადერთ შესაძლო საშუალებას, არადა ახალი კანონი თანხმობას ცნობს მხოლოდ ერთ-ერთ საფუძვლად და იქვე მოჰყავს საჯარო ინფორმაციის გაცემის რიგით მეორე საფუძველიც - კანონით გათვალისწინებული საჯარო ინფორმაციის გაცემა, რომელიც არ საჭიროებს პირის თანხმობას. შეიმჩნევა აგრეთვე „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის ინტერპრეტირების სხვა კუთხითაც სრულიად უსაფუძვლო და მანკიერი პრაქტიკის ჩამოყალიბების ტენდენცია, როდესაც რიგი საჯარო დაწესებულებებისა უარს აცხადებენ გასცენ დაჯამებული პრემიების საერთო ოდენობის შესახებ ინფორმაცია, იმ მოტივით რომ ამ რიცხვმა შეიძლება მოახდინოს ამა თუ იმ კონკრეტული პირის იდენტიფიცირება.

საჯარო ინფორმაციის დაფარვის ერთ-ერთ ყველაზე პრობლემატურ საკითხად საქართველოში კვლავ რჩება დაწესებულებათა მხრიდან საჯარო ინფორმაციის ცნების არასწორი განმარტება, რომელსაც მხარს უჭერს არსებული სასამართლო პრაქტიკაც. მაგალითად, საჯარო დაწესებულებები ხშირად უარს აცხადებენ გასცენ ინფორმაცია, რომელიც შეიძლება წარმოადგენდეს სხვადასხვა დოკუმენტში არსებული მონაცემების ამოკრეფის, შეჯამების ან გამოცალკევების შედეგს (მაგ. თანამდებობის პირის წლის განმავლობაში აღებული პრემიების ჯამური თანხა). ადმინისტრაციულ ორგანოთა მიდგომის თანახმად, მოთხოვნისამებრ, კანონმდებლობით გათვალისწინებული ინფორმაციის დამუშავების ვალდებულება მართალია აღიარებულია, თუმცა მოიცავს მხოლოდ დოკუმენტების მექანიკურ თავმოყრას და არა ე.წ. „ლოგიკურ სინთეზს“. ამასთან, საჯარო დაწესებულებები არც იმ საბაზისო დოკუმენტაციის გაცნობის საშუალებას აძლევენ განმცხადებელს, რომელთა დამუშავების შესაძლებლობას უარყოფენ. არასწორი მიდგომის თანახმად, დოკუმენტებიდან მონაცემების ამოკრეფა ან დაჯამება ნიშნავს ახალი დოკუმენტის შექმნას, ხოლო დოკუმენტი ექვემდებარება გაცემას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი შეტანილი იყო საჯარო რეესტრში განცხადების წარდგენის მომენტისათვის. ამასთან, სახეზეა სზაკ-ის იმ ნორმის სრული იგნორირება, რომელიც საჯარო რეესტრს უყურებს, როგორც საჯარო ინფორმაციის აღრიცხვის საშუალებას და არა იმ ინფორმაციის დაწესებულებაში არსებობის ინდიკატორს. მოცემულ პრობლემატიკასთან მიმართებაში საკმაოდ ხშირია აპელირება „ინფორმაციის ერთიანი სახელმწიფო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონში არსებულ დათქმაზე, რომ მონაცემი არ უნდა დამუშავებულიყო თუ ამგვარი დამუშავება პირდაპირ არ შედიოდა ამა თუ იმ დაწესებულების ფუნქციებში ან მონაცემების დამუშავება უშუალოდ გათვალისწინებული არ იყო ნორმატიული აქტით. სამწუხაროდ საჯარო დაწესებულებები და მოსამართლეები თავიანთ მსჯელობაში არ უშვებენ იმის მცირედ აღზატობასაც კი, რომ არ არსებობს საჯარო დაწესებულება, რომლის კანონმდებლობით განსაზღვრულ ფუნქციებშიც არ შედის საჯარო ინფორმაციის გაცემა (დამუშავების ერთ-ერთი სახე), ხოლო მონაცემების დამუშავება უშუალოდ გათვალისწინებულია სწორედ სზაკ-ის მე-40 მუხლით.

თუ ზემოთ აღწერილ შემთხვევებში საქმე გვაქვს არსებულ ნორმათა არასწორი განმარტების მაგალითებთან, რიგ შემთხვევებში, იმდენად მაღალია საჯარო დაწესებულებათა სურვილი, რათა კანონმდებლობით მათზე დაკისრებული დოკუმენტების მოძიებისა და დამუშავების ვალდებულება

არ იქნეს საერთოდ მოხმობილი, რომ მათთვის არასასურველი ინფორმაციის გაცემაზე უარის საფუძვლად მათ მოჰყავთ კანონმდებლობისათვის საერთოდ უცნობი ისეთი საფუძვლები, როგორებიცაა მაგალითად, საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირის მიერ დიდი მოცულობის სამუშაოს შესრულების შეუძლებლობა, მოთხოვნილი ინფორმაციის რაოდენობის პროპორციულობა ადმინისტრაციული ორგანოს ადამიანურ რესურსთან ანდა ინფორმაციის გაცემის გონივრულობა.

საჯარო დაწესებულებათა მიერ საკანონმდებლო ნორმათა განმცხადებლის საწინააღმდეგოდ ინტერპრეტირების სივრცეს შეიძლება იძლეოდეს თვით ფართოდ ჩამოყალიბებული ნორმის ჩანაწერიც. აღნიშნული განსაკუთრებით აქტუალურია სზაკ-ის მოქმედების სფეროსთან მიმართებაში, რომელიც არ ვრცელდება აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოთა იმ საქმიანობაზე, რომელიც დაკავშირებულია დანაშაულის ჩადენის გამო პირის სისხლის-სამართლებრივ დევნასთან და სისხლის სამართლის საქმის წარმოებასთან, აგრეთვე ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობასთან. აღნიშნული ნორმის მიზანში (შესაბამისი საქმიანობისათვის და ფუნქციებისათვის საფრთხის შექმნის ან მათი შეფერხების თავიდან აცილება) ჩადიების სრული უგულებელყოფით, ოპერატიულ-სამძებრო ორგანოებს და სასამართლოებს ეძლევათ საშუალება ფორმალურად უარყონ ნებისმიერი აღმატებული საზოგადოებრივი ინტერესის მქონე მოთხოვნა, რომელიც შეიძლება თეორიულ აზრობრივ კავშირში იყოს ხსენებულ საქმიანობასთან (მაგ. ქვეყანაში დანაშაულთა ზოგადი სტატისტიკა).

პრობლემები აისახება აგრეთვე საჯარო დაწესებულებათა მხრიდან საკანონმდებლო ნორმათა უგულებელყოფის პრაქტიკაშიც, მაგალითად, ღია ინფორმაციის კომერციული საიდუმლოების მარეგულირებელ სფეროში მოქცევის, და ამ გზით, დაფარვის მცდელობებში. საჯარო დაწესებულებები, განსაკუთრებით ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები, ხშირად ქმნიან საჯარო უფლებამოსილების განხორციელებით აღჭურვილ კერძო სამართლის იურიდიულ პირებს - ააიპ-ებს, შპს-ებს, ფონდებს და *მისთ.*, იმ იმედით, რომ აღნიშნული ორგანოების მონაწილეობით განხორციელებული კომერციული ტრანზაქციები, ხელშეკრულებები და სხვა შესაბამისი ინფორმაცია, რიგ შემთხვევებში, მოექცევა დახურულ ინფორმაციის რეგულირების სფეროში. ამის საშუალებას სზაკ-ი პირდაპირ გამორიცხავს, რომლის თანახმადაც ადმინისტრაციული ორგანოს შესახებ ინფორმაცია არ შეიძლება წარმოადგენდეს კომერციული საიდუმლოებას, ხოლო ადმინისტრაციულ ორგანო არის ნებისმიერი პირი (მ.შ. კერძო სამართლის იურიდიული პირი), რომელიც ასრულებს საჯარო სამართლებრივ უფლებამოსილებებს. მიუხედავად ამისა, რიგ საჯარო დაწესებულებათა მხრიდან მაინც სახეზეა ხსენებულ ნორმათა უგულებელყოფის პრეცედენტები.

ტენდენციის ნიშნების მატარებლად შეგვიძლია ასევე დავახასიათოთ სზაკ-ით განმცხადებლისთვის დადგენილი ინფორმაციის მიღების ფორმის არჩევის უფლების ხელყოფა საჯარო დაწესებულებათა მიერ. ძალზედ ხშირად, აღნიშნული აისახება მოთხოვნილი ინფორმაციის სანახავად განმცხადებლის გადამისამართებაში სხვადასხვა სახის ვებ-გვერდზე და არა მოთხოვნილი ფორმით ინფორმაციის გაცემაში.

და ბოლოს, ყველაზე ხშირად, შეიძლება ითქვას სისტემატურადაც კი, საჯარო დაწესებულებები დაინტერესებულ პირთათვის საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმისას წერილობით არ უმარტავენ მათ უფლებებს და საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის გასაჩივრების წესს. არადა, აღნიშნული ვალდებულება პირდაპირ ეკისრება საჯარო დაწესებულებას საქართველოს მოქმედი

კანონმდებლობით. ამასთან, უარყოფითი ტენდენცია შეიმჩნევა საჯარო დაწესებულებათა მიერ დახურული ინფორმაციის გაცემაზე საფუძველიანი უარის თქმის შემთხვევებშიც კი, როდესაც მათი პასუხები შემოიფარგლება მხოლოდ ფორმალური უარით - გასაჩივრების სურვილის მქონე განმცხადებელს არ მიეწოდება ისეთი მნიშვნელოვანი ინფორმაცია და რეკვიზიტები, როგორებიცაა მაგალითად: კონკრეტულ სამართლებრივი ნორმებზე მითითება, რის საფუძველზეც ითქვა უარი; სახელმწიფო საიდუმლოების ხარისხი და გრიფი; იმ თანამდებობის პირზე მითითება, რომელმაც მიაკუთვნა სახელმწიფო საიდუმლოებას მოთხოვნილი ინფორმაცია; მონაცემთა სუბიექტის მიერ მის შესახებ მონაცემთა გაცემაზე უარის თქმის ფაქტზე მითითება; საჯარო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი ინფორმაციის კომერციულ საიდუმლოებად მიჩნევის თარიღი და ა.შ.

პროექტის ფარგლებში გამოვლენილი პრობლემატიკა ყურადსაღები უნდა იყოს არამარტო სამოქალაქო საზოგადოების წევრებისათვის, არამედ განსაკუთრებით ხელისუფლებისათვის. ინსტიტუტის აზრით, პრობლემატიკის მინიმალიზაციის კუთხით, შესაძლებელია საწყის ეტაპზე განხორციელდეს შემდეგი ქმედებები:

საკანონმდებლო რეკომენდაციები

საზოგადოების ჩართულობით, საქართველოს აღმასრულებელმა და საკანონმდებლო ხელისუფლებამ მოახდინოს პრობლემატიკაზე რეაგირება შესაბამისი საკანონმდებლო დაზუსტებების შესაძლებლობის განხილვით, მათ შორის შემდეგ საკითხებზე:

- დაიწყოს მუშაობა “ინფორმაციის თავისუფლების შესახებ საქართველოს კანონზე”
- პერსპექტივაში განხილულ იქნას სპეციალური საზედამხედველო ორგანოს - საჯარო ინფორმაციის კომისიონერის თანამდებობის შემოღება ან ამ ორგანოს ფუნქციებით საქართველოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აღჭურვა-შერწყმა;
- შემოღებულ იქნას საზოგადოებრივი ინტერესის ტესტი, საიდუმლო ინფორმაციის გაცემაზე;
- ადმინისტრაციულ ორგანოში საჯარო ინფორმაციის გაცემის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირის დამოუკიდებლობის მექანიზმების შემუშავება;
- დამტკიცდეს ე.წ. „10 დეკემბრის ანგარიშის“ ერთიანი ფორმა;
- დაზუსტებულ იქნას საჯარო დაწესებულების მიერ “დოკუმენტების დამუშავების” ვალდებულებაში ნაგულისხმევი მონაცემთა ამოკრეფის, შეჯამების, გამოცალკევების და სხვა კრიტერიუმები, აგრეთვე ამგვარი დამუშავების გონივრულობის ფარგლები;
- საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებელი არ უნდა დაწესდეს თუ მოთხოვნილი საჯარო ინფორმაციის ოდენობა არ აღემატება 20 გვერდს ან თუ მოთხოვნილი ინფორმაცია შეეხება გარემოს დაცვისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის საკითხებს;
- საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლის გადახდისგან გათავისუფლებულ უნდა იყვნენ გადახდისუუნარო პირები, ჟურნალისტები და ადამიანის უფლებათა დამცველი არასამთავრობო ორგანიზაციები;
- უნდა გაუქმდეს სახელმწიფო ბაჟი ინფორმაციის თავისუფლების საკითხებთან დაკავშირებით წარმოშობილ ადმინისტრაციულ სარჩელზე;
- დაწესდეს ინფორმაციის თავისუფლების საკითხებთან დაკავშირებით წარმოშობილ ადმინისტრაციულ სარჩელზე განხილვის ყველაზე გონივრული მინიმალური ვადა თითოეულ ინსტანციაში (არ უნდა აღემატებოდეს 20-დან 30 დღის ვადას);

- განისაზღვროს საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირთა დისციპლინარული პასუხისმგებლობის ქმედითი მექანიზმი, მათ მიერ განმცხადებლის უფლების ამკარა ხელყოფის შემთხვევაში;
- ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან საჯარო ინფორმაციის მოთხოვნაზე უმოქმედობის შემთხვევაში, ზიანის ანაზღაურების საკითხი ასევე განისაზღვროს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში.

პრაქტიკული რეკომენდაციები

- განხორციელდეს საჯარო დაწესებულებების პასუხისმგებელ პირთა ცნობიერების ამაღლების პროგრამა საჯარო ინფორმაციის გაცემის და „10 დეკემბრის ანგარიშის“ წარდგენის ვალდებულების შესახებ;
- საჯარო ინფორმაციის აღრიცხვის (საჯარო რეესტრი) უფრო ქმედითი მექანიზმის შემუშავება, მათ შორის პროაქტიულად გამოქვეყნებული საჯარო ინფორმაციის განახლებადი რეესტრი;
- საქართველოს სახალხო დამცველმა აწარმოოს ქმედითი მონიტორინგი საჯარო დაწესებულებებზე საჯარო ინფორმაციის მოთხოვნისა და მისი მიღების ფორმის არჩევის უფლების ხელყოფის ფაქტებზე. შესაძლებელია, რომ სახალხო დამცველის აპარატთან შეიქმნას ცენტრი, რომელიც გაუწევს მონიტორინგს ინფორმაციის ხელმისაწვდომობის საკითხებს;
- პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორმა თანამდებობაზე გამწესებისთანავე უზრუნველყოს იმ მექანიზმების შემუშავება (გზამკვლევის შექმნა და გავრცელება, საინფორმაციო ღონისძიებები, მოხელეების ტრენინგი, შესაბამისი ვებ-გვერდის შექმნა და ა.შ), რომელიც ხელს შეუწყობს საზოგადოებაში ცნობიერების ამაღლებას და რომლითაც გავლენიანი იქნება მკაცრი ზღვარი ინფორმაციის ღიაობისა და პერსონალური მონაცემების დაცვის საკითხებს შორის.

პროექტის ფარგლებში ჩატარებულმა კვლევამ და შესაბამისმა სტატისტიკურმა მონაცემებმა გამოავლინა საქართველოში საჯარო ინფორმაციის მიღება-გაცემასთან დაკავშირებული დადებითი ძვრები. ინსტიტუტს მიაჩნია, რომ აღნიშნული ძირითადად განპირობებული იყო საქართველოში მნიშვნელოვანი მოვლენის - 2012 წლის 1 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების გზით ხელისუფლების შეცვლის ფაქტთან. აღნიშნულ მოსაზრებას ამყარებს პროექტის შედეგად გამოვლენილი მაჩვენებლებიც - არჩევნების შემდგომ საჯარო დაწესებულებათა მიერ ინფორმაციის გაცემის ნება დაახლოებით 30 პროცენტით გაიზარდა არჩევნებამდე არსებულ პერიოდთან შედარებით. ამასვე მეტყველებს მაჩვენებელი, რომლის თანახმადაც დაახლოებით 25 პროცენტით იმატა საჯარო დაწესებულებების მიერ 10-დღიანი ვადის დაცვის შემთხვევებმა, თუმცა საჯარო დაწესებულებებს ჯერ კიდევ ასათვისებელი აქვთ შემდეგი პრაქტიკა - საჯარო ინფორმაციის გაცემისათვის 10-დღიანი ვადის საჭიროებისას აღნიშნული მოთხოვნისთანავე აცნობონ განმცხადებელს.

საინტერესო გარემოებას წარმოადგენს ის ფაქტი, რომ არჩევნების შემდგომ პერიოდში ინსტიტუტის მიერ გაგზავნილი მოთხოვნები გარკვეულწილად დააკმაყოფილეს იმ საჯარო დაწესებულებებმა, რომლებიც წლების მანძილზე არანაირ რეაგირებას არ ახორციელებდნენ საჯარო ინფორმაციის გაცემის თვალსაზრისით. აღნიშნული ძირითადად ეხება ადგილობრივი თვითმმართველობის

შემდეგ ორგანოებს - ხონის, ვანის, სამტრედიის, თიანეთის, ცაგერის, ჩხოროწყუს, ასპინძის, ბორჯომის, ნინოწმინდის, თეთრიწყაროს, კასპის, ქარელის მუნიციპალიტეტების გამგეობებს, თუმცა აღსანიშნავია აგრეთვე საქართველოს თავდაცვის სამინისტროც, რომელიც წინა პროექტის ფარგლებში დაჯილდოებულ იქნა, როგორც 2011 წლის ყველაზე დახურული საჯარო დაწესებულება.

მიუხედავად იმისა, რომ ხელისუფლების შეცვლით გამოწვეული საკადრო ცვლილებები არ განუცდიათ საჯარო დაწესებულებათა ყველა ჯგუფს, საჯარო ინფორმაციის გაცემის მზარდი ტენდენცია შეიძლება ითქვას, რომ თანაბარწილად გავრცელდა ყველა საჯარო დაწესებულებაზე. აღნიშნულმა, აგრეთვე გავლენა იქონია ინსტიტუტის მიერ მოპოვებულ და ვებ-გვერდზე განთავსებულ საჯარო ინფორმაციის რაოდენობრივ და ხარისხობრივ მაჩვენებლებზეც. არჩევნების შემდგომ პერიოდში ინსტიტუტის მიერ მოთხოვნილ იქნა იმგვარი საჯარო ინფორმაცია, რომელიც წლების განმავლობაში არ ექვემდებარებოდა გასაჯაროებას წინა ხელისუფლების პირობებში. შესაბამისად, აღნიშნულმა ფაქტმა განაპირობა ინსტიტუტის ვებ-გვერდის მომხმარებელთა რიცხვის ზრდაც.

მიუხედავად საჯარო ინფორმაციის გაცემის დადებითი ტენდენციისა, გარკვეული არაეფექტურობა შეიმჩნევა დაწესებულებათა მიერ საჯარო ინფორმაციის მოწოდების ფორმებთან მიმართებაში. ხშირად საჯარო დაწესებულებები არჩევდნენ ინფორმაციის მოწოდებას ბეჭდური ფორმით, მიუხედავად იმისა რომ ინსტიტუტი მათ აძლევდა ალტერნატივას მოეწოდებინა იგივე ინფორმაცია ელექტრონული სახითაც. აღნიშნული შეიძლება მიჩნეულ იქნეს ნეგატიურ ტენდენციად, თუ დავუშვებთ, რომ ინფორმაცია უკვე ინახებოდა დაწესებულებებში ელექტრონული სახით, რის დასტურსაც წარმოადგენს ხშირ შემთხვევებში Excel-ის ფორმატის ფაილებიდან ამობეჭდილი სახით მიღებული დოკუმენტაცია.

საჯარო დაწესებულებათა მიერ საჯარო ინფორმაციის გაცემის მზარდი ტენდენციის ფონზე, ინსტიტუტისათვის გარკვეულ სირთულეს წარმოადგენდა გამჭვირვალობის კუთხით საუკეთესო საჯარო დაწესებულებათა დასახელება. აღნიშნული სირთულე გამოწვეული იყო იმ გარემოებით, რომ საჯარო დაწესებულებების უმრავლესობა არჩევნების შემდგომ პერიოდში სრულად აკმაყოფილებდა ინსტიტუტის მიერ გაგზავნილ მოთხოვნებს - შესაბამისად, საბოლოო რეიტინგებზე გადაწყვეტი გავლენა იქონია არჩევნებამდე პერიოდის პრაქტიკამ თითოეულ საჯარო დაწესებულებასთან მიმართებაში. მიუხედავად ამისა, ყველაზე გამჭვირვალე საჯარო დაწესებულებათა რეიტინგში ერთ-ერთი პირველი ადგილი, ისევე როგორც წინა პროექტის ფარგლებში, დმანისის მუნიციპალიტეტის გამგეობამ დაიკავა, რაც მეტყველებს ამ დაწესებულების ანგარიშვალდებულების მაღალ დონეზე.

ამასთან, ვინაიდან არჩევნების შემდგომ პერიოდში რიგ საჯარო დაწესებულებებმა განიცადეს საგრძნობი პროგრესი ინფორმაციის გაცემის კუთხით, ინსტიტუტის მიერ დამატებით შემოღებულ იქნა სპეციალური ნომინაცია - საჯარო დაწესებულებები, რომელმაც გაამჯობესეს ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა. ხსენებულ კონტექსტში აღსანიშნავია არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტო და საქართველოს თავდაცვის სამინისტრო, რომლებმაც ყველაზე დიდი პროგრესი განიცადეს საჯარო ინფორმაციის გაცემის კუთხით. საჯარო დაწესებულებათა გაუმჭვირვალობის პარამეტრით მიმდინარე პროექტის ფარგლებში ბოლო ადგილი ბოლნისის მუნიციპალიტეტის გამგეობამ დაიკავა, თუმცა აღსანიშნავია აგრეთვე საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია, რომელიც წინა პროექტის განხორციელების პერიოდის ანალოგიურად, მიმდინარე პროექტის ფარგლებშიც გამოირჩეოდა იმით, რომ ამ დაწესებულებიდან

ინფორმაციის მიღება ინსტიტუტისთვის სისტემატურად დიდ ძალისხმევასთან იყო დაკავშირებული - იქნებოდა ეს ადმინისტრაციული საჩივრები თუ სასამართლოსათვის მიმართვის უფლების გამოყენება.

ინსტიტუტი გამოთქვამს იმედს, რომ საჯარო დაწესებულებათა ინფორმაციის ღიაობის მზარდი ტენდენცია შენარჩუნებული იქნება საქართველოში მომავალშიც, ნებისმიერი ხელისუფლების პირობებში, და ეს არ იქნება დაკავშირებული ახალი ხელისუფლების მოღვაწეობის საწყის ეტაპთან, როდესაც საჯარო დაწესებულებების მიერ რაიმე სახის ინფორმაციის დამალვის სურვილი ნაკლებად არსებობს. ამასთან, სასურველია ხსენებული ტენდენციის პარალელურად მინიმუმამდე იქნას დაყვანილი საქართველოში ინფორმაციის თავისუფლებასთან დაკავშირებული სამართლებრივი ხასიათის ზემოთ აღწერილი პრობლემებიც, რაც საშუალებას მისცემს ყველა დაინტერესებულ პირს უკეთ ისარგებლოს საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის უფლებით საქართველოში, ხოლო ხელისუფლებას ხელს შეუწყობს გახდეს უფრო გამჭვირვალე და ანგარიშვალდებული. აღნიშნული მიზნის მისაღწევად ინსტიტუტი კვლავ განაგრძობს აქტიურ საქმიანობას და ღიაა ნებისმიერი თანამშრომლობის პერსპექტივისათვის.